# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 7 ოქტომბერი 2004 №233 (2254) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



## ტრიუმფი გუშინ

## ვიტ ჯორჯია 2:1 კოლხეთი

## დღეს ქუთაისელები ვაკეში

გუშინ. ვიტ ჯორჯია 2:1 კოლხეთი. ფოთელებს პირველი გოლი დავით იმედაშვილმა გაუტანა

# მე და ჩემი პუმას ჩანთა




## ვალერი ჩოლარიამ საქართველოს ნაკრებს საზამთროები ჩამოუტანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აბაშიძემ სარჩელი შეიტანა, ჩოლარიამ ქურთუკი ჩამოიტანა

## ფედერაცია პუმაში აღადგინეს



**მაშინ, როცა ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი გენერალური მდივნის, ანდრო აბაშიძის სარჩელი ვაკე-საბურთალოს სასამართლოში განხილვის პროცესშია, ფედერაციის ახალმა აღმასრულებელმა დირექტორმა ვალერი ჩოლარიამ ფიფა-უეფა მოიარა და იქიდან გუშინ დაბრუნდა. დაბრუნდა იმედიანად და გუშინვე პრესკონფერენცია გამართა.**

**ფიფა-უეფადან შეგულიანებული ჩოლარია თბილისში ჩამოსვლისთანავე ამბობს — ყველა შეწყვეტილი პროექტი, ფაქტობრივად, აღდგენილია და უახლოეს მომავალში ფეხბურთის ფედერაცია ფინანსურ დახმარებას ისევ მიიღებსო**

ვალერი ჩოლარია ვიდრე ამ საკითხებზე ლაპარაკს დაიწყებდა, ერთი ამბავიც გვითხრა, ამბავი, რომელიც ალბათ, მხოლოდ ქართველებს უნდა შემთხვეოდათ: თქვენ წარმოიდგინეთ და, საქართველოს ნაკრებს, რომელიც თვალის ერთი შევლებით სრულად ეკიპირებულია, უკრაინასთან, ლვოვში 13 ოქტომბრის მატჩისთვის მოსამზადებლად არ ჰქონია ზამთრის თბილი ქურთუკები. ოქტომბერში კი, მოგეხსენებათ, როგორი ამინდიც იქნება ლვოვში. ჰოდა, ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი ფიფა-უეფაში საქმეების მოგვარების გარდა, ნაკრების ტექნიკურ სპონსორთან, „პუმასთან“ ურთიერთობის განახლებითაც დაკავდა და... ჩოლარია გერმანიიდან რამდენიმე ჩემოდნით დაბრუნდა, ქურთუკები „პუმას“ ქარხნიდან თავად წამოიღო. აი, ასე, არ ვთქვათ, რომ ქართულ ფეხბურთში ქვის ხანაა?!

ახლა კი ვალერი ჩოლარია და ფიფა-უეფაში გაკეთებული საქმეები.

— დავიწყებ იმით, რომ ჩემს წინამორბედ ანდრო აბაშიძეს არ ვიცნობ, მასთან არანაირი ურთიერთობა არ მაქვს. პირად ცხოვრებაში მას წარმატებას ვუსურვებ.

...გაოცებული ვარ. თბილისში ჩამოსულს მითხრეს, რომ თითქოს ფიფას ფედერაციისადმი დახმარება შეჩერებული არ ჰქონდა და უეფასაც მხოლოდ ერთი პროექტის დაფინანსებაზე უთქვამს ჩვენთვის უარი. აგერ ფაქტები და თავად განსაჯეთ, ჰქონდა თუ არა ფედერაციას ფიფა-უეფადან ყველანაირი დახმარება შეწყვეტილი.

ვალერი ჩოლარიამ საქაღალდე გადაფურცლა და ბარე ოცამდე, ფიფადან თუ უეფადან გამოგზავნილი ფაქსის ასლები წაგვიკითხა. ერთი ფაქსი 21 სექტემბრით იყო დათარიღებული, მეორე 27 სექტემბრით, 30 სექტემბრით და ასე შემდეგ.

ზოგი ფაქსი ფიფა-უეფადან შინაური საქმეების ბოლომდე გარკვევამდე ყველანაირი ფინანსური დახმარების შეწყვეტას იუწყებოდა, ზოგიც, მაგალითად, 5 ოქტომბერს ხელმოწერილი, პირიქით... ნოემბრამდე წარმოგვიდგინეთ დასაფინანსებელი პროექტები და ჩვენ ყოველგვარ მხარდაჭერას გპირდებით — დაახლოებით ასეთი შინაარსისაა 5 ოქტომბერს ფედერაციაში მისული ფაქსი.

და ისევ ჩოლარია.

...ახლა დავიწყებთ პროექტზე მუშაობას, ჩვენთან ჩამოვლენ ფიფას წარმომადგენლები, ერთად შევიმუშავებთ ქართული ფეხბურთის განვითარების ხუთწლიან პროგრამას და ახალი წლიდან ფიფასაგან ფინანსურ დახმარებასაც მივიღებთ. ნოემბრიდან კი, შემიძლია გითხრათ, ფიფა პროგრამა „გოლი 2“-ით გათვალისწინებულ 400 ათასს დოლარს გამოყოფს, რაც ხელოვნურსაფარიანი მინი-მოედნების გაკეთებას მოხმარდება. სადღეისოდ კი ფიფამ საქართველოს ნაკრების უკრაინაში გასამგზავრებლად 100 ათასი დოლარი უკვე გადმოგვირიცხა. ფედერაციას, რა თქმა უნდა, უკრაინაში წასასვლელი ფული ჰქონდა, მაგრამ ეს 100 ათასიც ჩვენთვის იყო განკუთვნილი. ფიფას კი ამ ფულის გადმორიცხვა, ცნობილ მიზეზთა გამო შეეჩერებინა. ახლა ეს ფულიც გვაქვს და ისიც, რითაც ნაკრები უკრაინაში უნდა გამგზავრებულიყო. საუკრაინო ხარჯებიდან გამოთავისუფლებული ფულით კი, შესაძლოა, მსაჯთა დავალიანება დავფაროთ.

...უეფა, მაგალითდ, თავის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით ფეხბურთის ფედერაციას ერთ მინი-მოედანს ჩუქნიდა. უეფასი იყო ყველანაირი ხარჯი, მიწის ფართობის ყიდვიდან დაწყებული, მოედნის გაკეთებით დამთავრებული. სამწუხაროდ, უეფამ ამ საჩუქარზეც უარი გვითხრა, პროექტი ჩაიშალა, მაგრამ არა უშავს, ახლა ყველაფერი მოგვარდა.

...ჩათვალეთ, უეფამ უკვე აღადგინა მსაჯთა აკადემიისა და „B“ კატეგორიის სამწვრთნელო კურსების დაფინანსება. სხვა პროექტებს კი უეფა სპეციალური აუდიტორიული შემოწმების შემდეგ აღგვიდგენს. მოკლედ, უეფედან ფეხბურთის ფედერაცია ისევ მიიღებს პროგრამა „ჰეთ თრიქით“ გათვალისწინებულ და სხვა დახმარებასაც. საერთო ჯამში, 2 წელიწადში ფედერაციას სამმილიონახევარ შვეიცარიული ფრანკის გრანტი ექნება.

მოკლედ და მარტივად კი, რადგანაც ფედერაციისა და ფიფა-უეფას დახმარება-გრანტების ამბავში თქვენ კი არა, საგადასახდო ინსპექციაც არაა ბოლომდე ჩახედული, ვთქვათ — ფედერაცია ფიფასგან და უეფასგან ყველა იმ ფულს მიიღებს, რის გამოც ფედერაციამ ანდრო აბაშიძე თანამდებობიდან გაათავისუფლა, მან კი სასამართლოში იჩივლა.

**ბობა ინასარიძე**






ზურაბ ხიზანიშვილი და შოთა არველაძე: გლაზგოელი ქართველები თბილისში არიან. ხიზანიშვილს საუკრაინოდ ბუცის მორგება ძალიან სურს და საამისოდ ნაკრების ექიმის დასტური სჭირდება

# 36 წლის გიორგი დარასელია: ვარჯიშზე პირველი მივდივარ და ბოლო მოვდივარ

**გუშინდელ „ვიტ ჯორჯია“-„კოლხეთზე“ ერთი ძველი სახე შევნიშნეთ — გიორგი დარასელია, ახლობლებისთვის „ძუკუ“, ვინც 90-იანი წლების პირველ ნახევარში ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი გახლდათ. დარასელიამ „კოლხეთში“, „ტორპედოში“ და „სამტრედიაში“ თამაშით დაიგდო სახელი, 1994-95 წლების ჩემპიონატში კი ბომბარდირიც გახდა 26 გოლით. დარასელია ახლა 36 წლისაა და შესაძლოა, კვლავაც გააგრძელოს ფეხბურთელის კარიერა**



— რვა წლის წინ ისრაელში წავედი სათამაშოდ და მას შემდეგ საქართველოში არ ვყოფილვარ. ახლა ისრაელის მეორე ლიგაში, ლიგალუმითის კლუბ „ჰაპოელ ჰულონში“ ვთამაშობ, თუმც ამ გუნდში ახლა ფინანსური პრობლემებია...

— კიდევ რამდენ ხანს აპირებთ ისრაელში თამაშს?

— შარშან ფეხი მოვიტეხე, მაგრამ დატვირთვებს და ორი ტაიმის თამაშს მაინც ვუძლებ. რა მნიშვნელობა აქვს ასაკს?! მთავარია, როგორ ემზადები და როგორ ემზადებოდი მანამდე. ვარჯიშზე ახლაც პირველი მივდივარ და ბოლო მოვდივარ. როგორც კი შევატყობ, რომ ეს აღარ შემიძლია, თამაშს მაშინ დავანებებ თავს.

— ისრაელში მწვრთნელობას ხომ არ აპირებთ?

— ისრაელში სამწვრთნელო სკოლა დავამთავრე, მაგრამ ამ დიპლომით მხოლოდ ბავშვებთან მუშაობის უფლება მაქვს. შესაძლოა, სამწვრთნელო საქმის შესწავლა საქართველოში ან რუსეთში გავაგრძელო. არის იმის ვარიანტიც, რომ ისრაელის რომელიმე კლუბში მენეჯერად ვიმუშავო. ერთი სიტყვით, ახლა ვფიქრობ — იქაურ ჩემპიონატში სანაკრებო მატჩების გამო შესვენებაა და დროც მაქვს. შესაძლოა, კვლავ გავაგრძელო ფეხბურთის თამაში.

— რვა წელი არ ყოფილხართ საქართველოში და ჩვენს ახლანდელ ჩემპიონატს უწინდელებს როგორ შეადარებდით?

— ადრე ჩვენს ჩემპიონატში უფრო კარგად თამაშობდნენ ფეხბურთს, ახლა კი უფრო კარგად იბრძვიან — ადრე უფრო მაღალი კლასის ფეხბურთელები თამაშობდნენ საქართველოს ჩემპიონატში.

**დავით თავართქილაძე**

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი 16 ლიგა 10 ტური
საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

მცხეთა. 6 ოქტომბერი. 15 საათი. არმაზი. 200 (ტევადობა 3 000)

## ვიტ ჯორჯია 2:1 კოლხეთი

1:0 იმედაშვილი (7), 1:1 თოდუა (55), 2:1 მერებაშვილი (85)

| ვიტ ჯორჯია | კოლხეთი |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია: მერლანი, კვახაძე, ინწკირველი, იმედაშვილი, პ. დათუნაიშვილი (ქოქიაშვილი 72), ლ. ნოზაძე, დილმელაშვილი, გველესიანი, ვ. გოჩაშვილი, ადამია, ე. მერებაშვილი | კოლხეთი: ქვაჩახია, გიორგი კილასონია, ჭითანავა, ღონღაძე, აკობია, თავაძე, ე. მარგალიტაძე, ვართაგავა, გ. თოდუა, ზ. ქუთათელაძე (ნ. ნარსია 69), ძოძუაშვილი |
| სათადარიგონი: ბედიაშვილი; კუპრეიშვილი, დ. ლომაია, ლ. კვარაცხელია, ებანოიძე | სათადარიგონი: გიზო შენგელია; კუნჭულია, ხურცილავა, ჭედია |
| მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე | მწვრთნელი: სერგო გაბელაია |

გაფრთხილება: მარგალიტაძე (69)

მსაჯები: მ. მაისურაძე; მ. ელიკაშვილი, ზ. მენთეშაშვილი; გ. ვადაჭკორია (ყველა თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია



ერეკლე მერებაშვილმა ეს მომენტი ვერ გამოიყენა, მაგრამ მატჩის ბოლოს სამქულიანი მაინც გაისროლა

# მაისურაძისთვის გინებაა სხვადასხვა თუ გუნდები? ერეკლემ მცხეთაში ხმალივით მოიქნია

დავით თავართქილაძე მცხეთიდან

ფოთელებმა ჩემპიონთან ისეთი მონდომებით ითამაშეს, რომ ქულის აღებას ნაღდად იმსახურებდნენ. თუმც მატჩის მიწურულს არბიტრმა მალხაზ მაისურაძემ მეტად საეჭვო ჯარიმა დანიშნა ერეკლე მერებაშვილის წაქცევისთვის — საჯარიმო დარტყმა თვითონ მერებაშვილმა შეასრულა დიდებულად, რაც გამარჯვების გოლი აღმოჩნდა ვიტელებისთვის — ეს 85-ე წუთზე მოხდა და როცა თამაში ცენტრიდან განახლდა, დავით ჭითინავამ მსაჯს შეუკურთხა და წითელი ბარათიც მიეზღო. თუმც გადამწყვეტ გოლამდე რამდენიმე წუთით ადრე მაისურაძეს ერთ-ერთი ვიტჯორჯიელი მიეჭრა და „შე ჩემა“ ისე დაუღრიალა, რომ ტრიბუნაზე ყველამ გაიგო, მაგრამ მაისურაძემ „შე ჩემა“ ყურიდან ყურში გაატარა.

როგორც უნდა იყოს, „ვიტ ჯორჯიამ“ მოიგო, მეტოქეზე არანაკლებ იბრძოლა და ჩემპიონის ამ სამ ქულასაც ვერავინ დააკნინებს.

მასპინძლები ასე დაწინაურდნენ — ნაკუთხურალი ბურთი ალექსანდრე ინწკირველმა მოიგო, შორეულ ძელთან კი დავით დილმელაშვილმა დაჰკრა ბურთს თავი საგოლედ.

ფოთელები არ გატყდნენ, შლეგად ირჯებოდნენ მოედნის ნებისმიერ მონაკვეთზე და მეტოქეს მინდვრის შუაგულს არ ანებებდნენ. ვიტელებს კონტრიერიშზე შეეძლოთ კოლხთა ერთხელაც დამწუხრება, მაგრამ ვლადიმერ გოჩაშვილს ზურაბ ქვაჩახიამ ფეხით აუღო. ტაიმის მიწურულს კი ლაშა ნოზაძემ ფოთელთა კარის ძელს დააძგერა ბურთი.

მეორე 45 წუთიც შმაგად დაიწყეს გუნდებმა. ფოთელებმა ფლანგური ჯარიმა მოინაგრეს, ლევან აკობიას ხვეულად ჩაწოდებულზე ყველას გია თოდუამ დაასწრო და 1:1.

ამის შემდეგ კიდევ უფრო ფიცხი, ფხიანი ბრძოლა წავიდა. თანაბრობა იყო, მაგრამ კოლხებს ოსტატი, შემსრულებელი ფეხბურთელი აკლდათ და გადამწყვეტ მომენტში ეს აფერხებდათ, ხოლო ვიტელებს ამ მხრივ შედარებით უკეთ აქვთ საქმე და თუნდაც ამიტომ ვერ გავაუფერულებთ მათ გამარჯვებას, მიუხედავად მსაჯის საკამათო გადაწყვეტილებებისა.

ერთი სიტყვით, ჩემპიონმა მეტად ძნელი სამი ქულა გამოაძრო, „კოლხეთი“ კი ერთობ ბრძოლისუნარიან გუნდად ჩანს სერგო გაბელაიას ხელში.

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი 16 ლიგა 10 ტური
ანონსი
საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

ბათუმი. 7 ოქტომბერი. 15 საათი. ცენტრალური

## ბათუმი — დილა

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ვ. ბარქაია

თბილისი. 7 ოქტომბერი. 15 საათი. ოლიმპი

## თბილისი — ზესტაფონი

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); მ. ურუშაძე (თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

ბოლნისი. 7 ოქტომბერი. 15 საათი. თამაზ სტეფანია

## სიონი — დინამო

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ზ. ჯვარიძე (თბილისი), გ. ცირდავა (გულრიფში); ი. კახიანი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი; დირექტორი: ს. კოტრიკაძე

თბილისი. 7 ოქტომბერი. 17 საათი. ლოკომოტივი

## ლოკომოტივი — ტორპედო

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. მეშკოვი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

# ქუთაისელები ვაკეში
## გია მეგრელაძეს თბილისური გოლი უყვარს

**გუშინ,** „ვიტ ჯორჯია“ — „კოლხეთით“ დაწყებული მე-10 ტური დღეს დასრულდება და მთავარი მატჩიც დღესვეა, ვაკეში „ლოკომოტივი“ ქუთაისის „ტორპედოს“ მასპინძლობს.

კალენდარი ისე აეწყო, რომ „ტორპედოს“ ზედიზედ სამი „გასვლა“ უწევს. ქვეყნის სამგზის ჩემპიონებმა პირველი გამოცდა ჩააბარეს — წინა ტურში „თბილისს“ 1:1 გაუგორეს და სატურნირო ცხრილის თავიც დაიპყრეს.

დღეს კი „ტორპედოს“ არანაკლებ რთული მატჩი ელის.

დამეთანხმებით, „ლოკომოტივი“ ამ სეზონში საინტერესო გუნდად ჩამოყალიბდა. ზაურ სვანაძის ბიჭები არც უფულობას უჩივიან და არც უქულობას, გუნდი მნიშვნელოვნად გაძლიერდა კიდეც და, როგორც ნათქვამია, მეტი რა გინდა, ვეჟო...

ეგაა, რკინიგზელებმა ჯერაც ვერ „ისწავლეს“, ვისთან უნდა დაკარგონ ქულები. წინა ტური გავიხსენოთ, მაჩანჩალა გორის „დილასთან“ ნათამაშები 0:0 თბილისელებს როდის აკბენინებს თითზე, არავინ იცის.

მე-16 ეროვნული ჩემპიონატის პირველ ტურში „ლოკომოტივმა“ ქუთაისში 0:2 წააგო და ის მატჩი ცუდად ახსოვს „ტორპედოს“ მეგოლე გიორგი მეგრელაძეს. საქმე ისაა, რომ მეგრელაძემ მაშინ მოედანი უგოლოდ დატოვა და, როგორც გვითხრა, ხასიათიც წახდენია — იმის შემდეგ გოლების გატანას ასე იოლად თუ დავიწყებდი, არ მეგონაო.

ამის გახსენება იმიტომ დაგვჭირდა, რომ გვეთქვა — დღეს ვაკეში ბომბარდირების დუელიც იქნება, მეგრელაძე ექსდინამოელ მიხეილ ბობოხიძის წინააღმდეგ. სხვათა შორის, ბობოხიძის პირველი უმაღლესლიგური გუნდი სწორედ „ტორპედოა“.

აქვე გატყვით, რომ „ლოკომოტივი“ — „ტორპედოს“ [illegible] 3 საათის ნაცვლად 5 საათზე დაიწყება.

დანარჩენ მატჩთაგან გამოსარჩევ-გადასარევი არც ერთი ჩანს.

ბათუმში გორის „დილა“ ჩადის და ალბათ თავადაც არ სჯერა, რომ ქულას მაინც აიღებს. ბათუმელები „დინამოს“ 3:0 ძლევის შემდეგ იმტაზე არიან და მოგებათა სერიის გაზრდაზე რომ ფიქრობენ, უდავოა.

„თბილისი“ მწვრთნელშეცვლილ „ზესტაფონს“ დაუხვდება. „ზესტაფონში“ თემურ მახარაძე რომ მივიდა, გუშინაც გაუწყეთ და ვნახოთ, შედგება თუ არა მისი დებიუტი ისანში. მთავარი კი ისაა, რომ გუნდში რალაც შეიცვალა (მერამდენედ?!) და ახალი ცოცხის ამბავს თუ გავიხსენებთ... თუმც „თბილისის“ ამბიციაც ხომ უნდა ვიკითხოთ? გიორგი დევდარიანის ბიჭები ბოლოხანს კარგად ამოძრავდნენ და აუტსაიდერ „ზესტაფონის“ შეჭმასაც ეცდებიან.

და „სიონი“ — „დინამო“. ცოტა ხნის წინ ეს მატჩი განსაკუთრებული იქნებოდა, მაგრამ ახლა ასე არაა. „სიონი“ ძველებურად ველარ სიონობს და „დინამოც“ აშკარად ფავორიტად ჩადის ბოლნისში. მით უმეტეს, თბილისელებმა წინა ტურში ბათუმში წააგეს და პირველი ადგილიც დაკარგეს. შეცდომების გასწორების დრო უკვე მოვიდა...

**ბახა ფალამბერიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 9 | 6 | 3 | 0 | 15:3 | 21 |
| დინამო | 9 | 6 | 2 | 1 | 23:7 | 20 |
| ბათუმი | 9 | 5 | 2 | 2 | 15:6 | 17 |
| თბილისი | 9 | 5 | 2 | 2 | 19:12 | 17 |
| ვიტ ჯორჯია | 10 | 5 | 2 | 3 | 19:14 | 17 |
| ლოკომოტივი | 9 | 4 | 4 | 1 | 14:4 | 16 |
| სიონი | 9 | 2 | 1 | 6 | 9:25 | 7 |
| ზესტაფონი | 9 | 2 | 0 | 7 | 6:24 | 6 |
| დილა | 9 | 1 | 1 | 7 | 6:17 | 4 |
| კოლხეთი | 10 | 1 | 1 | 8 | 6:20 | 4 |



ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა გიორგი მეგრელაძემ „ლოკომოტივს“ პირველ ტურში ვერ გაუტანა და თავისას დღეს ვაკეში ეცდება

# ყველას თავისი ჭირესი ჰყავს
## ოლეგ ბლოხინი ფრანგულად ალაპარაკდა

რამდენიმე დღეც და საქართველოს ნაკრებს უკრაინასთან შებმა მოუწევს. ოლეგ ბლოხინის სამწყსო უკვე ემზადება საკუთარ ბაზაზე, თუმც უკრაინელებს ჩვენამდე საბერძნეთში უწევთ ჩასვლა და ახლა მთელი ყურადღება ამ მატჩისკენაა მიმართული.

ორიოდ დღის წინ ბლოხინმა ნაკრების სამზადისზე სასაუბროდ პრესკონფერენცია გამართა და ჟურნალისტებს ფაქტობრივად ის უთხრა, რასაც ჩვენ ალენ ჟირესი გვეუბნება ხოლმე.

უფრო ზუსტად, როგორც ჩანს, უკრაინელები და ქართველები დაახლოებით ერთნაირ მდგომარეობაში არიან. ყოველ შემთხვევაში, გარედან ასე ჩანს...




პრესკონფერენციაზე ოლეგ ბლოხინი შახტარელ ანატოლი ტიმოშჩუკთან ერთად გამოცხადდა

აი, მაგალითად, რა თქვა ბლოხინმა თავის გუნდზე:

— პირველ ორ ტურში ოთხი ქულა ავიღეთ, რასაც ვერავინ წარმოიდგენდა. დამეთანხმებით, ძალიან რთულია დანიიდან ქულის წამოღება, მერე კი უცებ ყაზახეთში ჩასვლა და მოგება. მიხარია, რომ გუნდს წინსვლა ეტყობა. თუნდაც ის რად ღირს, რომ ბიჭები ნაკრებში იმედით მოდიან, მათ სჯერათ, რომ წარმატების მიღწევა შეუძლიათ. უკრაინის ნაკრები ბოლომდე იბრძოლებს, ჩვენ უკან არ დავიხევთ. ყველა ამბობს, რომ სანახაობრივ ფეხბურთს არ ვთამაშობთ, მაგრამ ამ მომენტში ჩემთვის უმთავრესი შედეგია. ჯგუფური ეტაპი ძალიან რთულია და ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო გვაქვს.

*ვფიქრობ, ჟირესის და ბლოხინის აზრების მსგავსებაში უკვე დაგარწმუნეთ. დანარჩენი კი სუფთად სამწვრთნელო ამბებია და ბლოხინიც გუნდში შექმნილ ვითარებაზე საუბრობს. ისე, ტრავმირებულთა თუ დისკვალიფიცირებულთა პრობლემა ჩვენთვისაც (ანუ ჟირესისთვისაც) არაა უცხო. მოკლედ, ისევ ბლოხინს მოვუსმინოთ:*

— თავიდანვე ტრავმირებულებზე გეტყვით: რუსლან როტანი ნაკრების ექიმებთან მკურნალობს. მისი მდგომარეობა რთულია და არა მგონია, დაგვეხმაროს, მაგრამ... ჩვენ მაინც ყველანაირად ვეცდებით მის ფეხზე დაყენებას, იქნებ სასწაული მოხდეს და გამოჯანმრთელდეს. სერგეი ფიოდოროვმა ფეხი მოირჩინა და კიევის „დინამოს" სარეზერვო გუნდშიც ითამაშა. მართალია, მას სათამაშო პრაქტიკა აკლია, მაგრამ უკვე ველაპარაკე და, ვფიქრობ, მზადაა. ყოველ შემთხვევაში, ფიზიკური კონდიციები არ დააწუხება. ფიოდოროვი გამოცდილი ფეხბურთელია, რომელიც ჩვენს არეულ დაცვას დაეხმარება. აი, მარჯვენა მცველის პოზიცია კი ჯერაც ღიად მრჩება. იური დმიტრულინი კი გამოვიძახეთ, მაგრამ ვარჯიშზე დაშავდა. აუცილებლად რაღაც უნდა მოვიფიქრო".

**ლუკა თალაკვაძე**

# შვიდკუნჭულა
## ფრანგის ქართული ზღაპარი

**შვიდი ნაბიჯით წინ!!!** გიხაროდენ, საქართველოს ნაკრებმა ფიფა-კოკა კოლას რეიტინგში წაიწია.

რა ხანია, ასეთი „ბედნიერება" არ განგვიცდია. წაგებებს დაჩვეული საქართველოს ნაკრები თვიდან თვემდე მიექანებოდა ფსკერისკენ. ჯერ იყო და, ოთხმოცდამეათე საფეხურს რომ გავცდით, ყველამ თავზე შემოირტყა ხელები, თუმც შეჩვეული ჭირის ამბავი ხომ გაგიგიათ და მოგვიანებით, მეორე ასეულში გადავარდნა უკვე კანონზომიერებად ჩავთვალეთ. აბა, ვინ იტყოდა, უკეთეს შედეგს ვიმსახურებთო?..

დღეს კი საქართველო სხვანაირი მზით თბება. ჩვენ უკვე ვიცით, რა არის ფეხბურთი. ჩვენ უკვე გვყავს „დინამო", ნამდვილ უეფას თასზე მოთამაშე „დინამო".

და ჩვენ გვინდა გვყავდეს ნაკრები, დიდ საფეხბურთო ფორუმზე მოთამაშე ნაკრები...

დასაწყისი კი ასეთია: შვიდი ნაბიჯი წინ, საქართველოს ნაკრები მსოფლიოში 105-ე ადგილზეა.

წინსვლა ხომ არ გავაგრძელოთ?

**ბახა შალამბერიძე**



ალბანეთთან მოგებით საქართველომ შვიდი საფეხურით წაიწია

FIFA Coca-Cola WORLD RANKING

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | 1 | ბრაზილია | 845 |
| 2 | 2 | საფრანგეთი | 799 |
| 3 | 4 | არგენტინა | 778 |
| 4 | 3 | ესპანეთი | 774 |
| 5 | 6 | ჰოლანდია | 755 |
| 6 | 5 | ჩეხეთი | 751 |
| 7 | 7 | ინგლისი | 739 |
| 8 | 11 | პორტუგალია | 735 |
| 8 | 9 | იტალია | 735 |
| 10 | 8 | მექსიკა | 734 |
| 11 | 10 | აშშ | 717 |
| 12 | 13 | თურქეთი | 711 |
| 13 | 11 | გერმანია | 706 |
| 14 | 16 | ირლანდია | 705 |
| 15 | 15 | დანია | 704 |
| 16 | 14 | საბერძნეთი | 703 |
| 17 | 19 | ურუგვაი | 702 |
| 18 | 20 | ნიგერია | 701 |
| 19 | 18 | იაპონია | 699 |
| 20 | 21 | ირანი | 698 |
| 80 | 87 | უკრაინა | 524 |
| 89 | 94 | ალბანეთი | 498 |
| 105 | 112 | საქართველო | 448 |
| 145 | 145 | ყაზახეთი | 302 |

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში; III – ქვეყანა; IV – ქულა

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I I შესარჩევი ჯგუფი

# ჩვენი მეტოქეები

### მესამე ტური. 9 ოქტომბერი

## უკრაინა – საბერძნეთი

### უკრაინა

**მეკარეები:** ალექსანდრ შოვკოვსკი (დინამო), ვიტალი რევა (დინამო);

**მცველები:** ანდრეი ნესმაჩნი (დინამო), იური დმიტრულინი (დინამო), სერგეი ფიოდოროვი (დინამო), ალექსანდრ რადჩენკო (დნიპრო), ანდრეი რუსოლი (დნიპრო), სერგეი მატიუხინი (დნიპრო), ვლადიმირ იეზერსკი (დნიპრო), მიხაილ სტაროსტიაკი (შინიკი, რუსეთი), ვიაჩესლავ ჩეჩერი (მეტალურგი, დონეცკი);

**ნახევარმცველები:** ოლეგ გუსევი (დინამო), ანდრეი გუსინი (დინამო), რუსლან ბიდნენკო (დინამო), რუსლან როტანი (დნიპრო), ოლეგ შელაევი (დნიპრო), სერგეი ნაზარენკო (დნიპრო), ანატოლი ტიმოშჩუკი (შახტარი), სერგეი ზაკარლიუკა (ილიჩევეცი);

**თავდამსხმელები:** ანდრეი შევჩენკო (მილანი, იტალია), ანდრეი ვორონინი (ლევერკუზენი, გერმანია), ანდრეი ვორობეი (შახტარი), ალექსეი ბელიკი (შახტარი)

### საბერძნეთი

**მეკარეები:** ანტონის ნიკოპოლიდისი (ოლიმპიაკოსი), კოსტას ხალკიასი (პანათინაიკოსი);

**მცველები:** ტრაიანოს დელასი (რომა, იტალია), იანის გუმასი (პანათინაიკოსი), იურკას სეიტარიდისი (პორტუ, პორტუგალია), ტაკის ფისასი (ბენფიკა, პორტუგალია), სტელიოს ვენეტიდისი (ოლიმპიაკოსი), მიხალის კაპსისი (ბორდო, საფრანგეთი);

**ნახევარმცველები:** კოსტას კაცურანისი (აეკ), ანგელოს ბასინასი (პანათინაიკოსი), თეოდოროს ზაგორაკისი (ბოლონია, იტალია), პანტელის კაფესი (ოლიმპიაკოსი), ვასილის ლაკისი (კრისტალ პალასი, ინგლისი), ვასილის ცარტასი (ოლიმპიაკოსი), გიორგიოს გეორგიადისი (ოლიმპიაკოსი), სტელიოს იანაკოპულოსი (ბოლტონი, ინგლისი), გიორგიოს კარაგუნისი (ინტერი, იტალია);

**თავდამსხმელები:** ანგელოს ხარისტიასი (ვერდერი, გერმანია), ზისის ვრიზასი (ფიორენტინა, იტალია), დიმიტრიოს სალპინგიდისი (პაოკ)

## თურქეთი – ყაზახეთი

### თურქეთი

**მეკარეები:** რუშთუ რეჩბერი (ფენერბაჰჩე), ომერ ჩატკიჩი (გენჩლერი), ვოლქან დემირელი (ფენერბაჰჩე);

**მცველები:** უმით ოზატი (ფენერბაჰჩე), ბიულენთ ქორქმაზი (გალათასარაი), სერვეთ ჩეთინი (ფენერბაჰჩე), დენიზ ბარისი (ფენერბაჰჩე), იბრაჰიმ უზულმეზი (ბეშიქთაში), თოლგარ სეიჰანი (ტრაბზონი), კურსათ დუიმუში (რიზე);

**ნახევარმცველები:** გიოქდენიზ კარადენიზი (ტრაბზონი), იბრაჰიმ ტორამანი (ბეშიქთაში), სერქან ბალჩი (ფენერბაჰჩე), ჰასან შაში (გალათასარაი), ოკან ბურუქი (ბეშიქთაში), ემრე ბელოზოღლუ (ინტერი, იტალია), ჰუსეინ ჩიმსირი (ტრაბზონი), ჰამიტ ალტინტოპი (შალკე, გერმანია), ნეჩატი ატეში (გალათასარაი);

**თავდამსხმელები:** ნიჰათ კაჰვეჩი (სოსიედადი, ესპანეთი), თუნჯაი სანლი (ფენერბაჰჩე), ფათიჰ ტეკე (ტრაბზონი), ჰალილ ალტინტოპი (კაიზარსლაუტერნი, გერმანია)

### ყაზახეთი

**მეკარეები:** იური ნოვიკოვი (ირტიში), ანდრეი მორევი (ეკიბასტუზეცი), ალექსანდრ მოკინი (ჟენისი);

**მცველები:** ალექსანდრ ფამილცევი (ტომი, რუსეთი), იგორ ავდეევი (ჟენისი), სამატ სმაკოვი (კაირატი), სერგეი კოზულინი (ორდაბასი), რენატ დუბინსკი (შინიკი, რუსეთი), დმიტრი ლიაპკინი (ხინკი, რუსეთი), ფარხადბეკ ირისმეტოვი (ირტიში), ანტონ ჩიჩულინი (ჟენისი);

**ნახევარმცველები:** რუსლან ბალტიევი (მოსკოვი, რუსეთი), ანდრეი კარპოვიჩი (კაირატი), რაფაელ ურაზბახტინი (აკტობე-ლენტო), მაქსიმ ნიზოვცევი (ტობოლი), დიას კამელოვი (ირტიში), ედუარდ სერგიენკო (ჟენისი);

**თავდამსხმელები:** მაქსიმ შევჩენკო (ჟეტისუ), ალიბეკ ბულეშევი (კაირატი), მურატ ტლეშევი (ირტიში), დენის როდიონოვი (ატირაუ)

## ალბანეთი – დანია

### ალბანეთი

**მეკარეები:** ფოტო სტრაკოშა (პანიონიოსი, საბერძნეთი), ილიონ ლიკა (დინამო), არიან ბექაი (იონიკოსი, საბერძნეთი);

**მცველები:** გერი ჩიპი (ირანი), რეზარტ დაბულა (ტირანა), არიან პიშა (დინამო), ჰენრი ნდრეკა (პარტიზანი), არიან შეტა (კალითეა, საბერძნეთი);

**ნახევარმცველები:** ბესნიკ ჰასი (ანდერლეხტი, ბელგია), ლორიკ ჩანა (პსჟ, საფრანგეთი), ალტინ ლალა (ჰანოვერი, გერმანია), დევი მუკაი (ტირანა), არდიტ ბექირი (ტირანა), კლოდიან დურო (არმინია, გერმანია), მეჰმეთ დრაგუშა (ირაკლისი, საბერძნეთი), ედვინ მურატი (ირაკლისი, საბერძნეთი), ბლედი შკემბი (კამენი, ხორვატია), ალტინ ჰაჯი (კალამატა, საბერძნეთი), ერვინ შკელა (არმინია, გერმანია);

**თავდამსხმელები:** იგლი ტარე (ბოლონია, იტალია), ალბან ბუში (ისთანბული, თურქეთი), ფლორიან მურტაი (ვერონა, იტალია), ალტინ რაკლი (ტირანა)

### დანია

**მეკარეები:** თომას სორენსენი (ასტონ ვილა, ინგლისი), პეტერ სკოვ-იენსენი (მიდტიულანდი);

**მცველები:** თომას ჰელვეგი (ნორვიჩი, ინგლისი), ნიკლას იენსენი (დორტმუნდი, გერმანია), ბრაიან პრისკე (გენკი, ბელგია), სორენ კოლდინგი (ბოხუმი, გერმანია), სტევენ ლუსტუ (ლინი, ნორვეგია), პერ კროლდრუპი (უდინეზე, იტალია), ესბიორნ სენელსი (ბრონდბიუ);

**ნახევარმცველბი:** თომას გრავესენი (ევერტონი, ინგლისი), კრისტიან პოულსენი (შალკე, გერმანია), იესპერ გრონკიაერი (ბირმინგემი, ინგლისი), დენის რომედალი (ჩარლტონი, ინგლისი), ნიკოლაი სტოკჰოლმი (ოდენსე), მარტინ რეტოვი (ბრონდბიუ), თომას კალენბერგი (ბბრონდბიუ);

**თავდამსხმელები:** იონ დალ ტომასონი (მილანი, იტალია), ჰენრიკ პედერსენი (ბოლტონი, ინგლისი), მარტინ იორგენსენი (ფიორენტინა, იტალია), კენეტ პერესი (ალკმაარი, ჰოლანდია), მორტენ სკოუბო (ბრონდბიუ)

# ვაი, ფურთხისგან ფიფამ ტოტი მოჭრა



ფრანჩესკო ტოტი ფიფამ დაიწუნა

*იტალიის ფეხბურთის ფედერაცია ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის მასპინძლობას აპირებს და საამისოდ უეფაში განაცხადის შეტანას ფიქრობს. ვადა ასეთი განაცხადის მომზადებისა და შეტანისთვის 2006 წლამდეა, ოღონდ საამისოდ საჭიროა ფედერაციას ქვეყნის მთავრობამ დაუდოს რეზოლუცია*

# იტალია 012?



ფრანკო კარარო

„იმისათვის, რომ 2012 წლის ევროპის პირველობას ვუმასპინძლოთ, საჭიროა შევიგულოთ რვა აეროპორტიანი ქალაქი, სადაც იქნება სასტუმროები, რომლებსაც ტრასები და რკინიგზა მიუდგება და ეს ყველაფერი იქნება მყარი, საიმედო, თანამედროვე — განაცხადა ფედერაციის შეფმა ფრანკო კარარომ — გარდა ამისა, ჩვენ დაგვჭირდება ისეთ სტადიონები, სადაც მაყურებელი თავს კომფორტულად იგრძნობს. მსოფლიოს საუკეთესო სტადიონებსაც კი სჭირდებათ განახლება. ამიტომაც, მთავრობასთან მოლაპარაკებებს განვაგრძობთ. თუ მთავრობისგან არ იქნება მხარდაჭერა და კეთილი ნება, განაცხადის შეტანას აზრი არ ექნება“.

შეგახსენებთ, რომ იტალიას აქვს დიდი შეჯიბრებების მასპინძლობის გამოცდილება. კერძოდ, აპენინებზე გაიმართა 1968 და 1980 წლის მსოფლიოს ჩემპიონატები.

**ბაკუნა ძედია**

# ჯონათან ძებინამ ნაკრები მოძებნა

„იუვენტუსის“ მცველი ჯონათან ძებინა ამბობს, რომ „რომაში“ გატარებული წლების დავიწყება სურს.

„მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც „რომაში“ ვიყავი, არაჯანსაღი და უარყოფითი გარემოს ზეწოლას ვგრძნობდი. იძულებული ვიყავი, მეტვირთა ისეთი პასუხისმგებლობები, რომლებიც წესით არ უნდა შემხებოდა. ერთი სიტყვით, მიჯობს ეს ყველაფერი, რაც შეიძლება სწრაფად დავივიწყო“ — იგონებს ძებინა, რომელიც „რომას“ ქომაგებს მაინცდამაინც არ უყვარდათ და ხშირად აკრიტიკებდნენ.

სამაგიეროდ, ახლა, როდესაც რომასდროინდელი ფაბიო კაპელოს „იუვენტუსში“ წაჰყვა, ძებინა თავს ხელმეორედ დაბადებულად გრძნობს და ხარობს, რომ საფრანგეთის ნაკრების კარიც კი გაუღეს.

„ეს გამოძახება მხოლოდ და მხოლოდ „იუვეს“ თავკაცის, ფაბიო კაპელოს დამსახურებაა — განაცხადა ძებინამ საფრანგეთის ნაკრების საწვრთნელ ცენტრში ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს — გაცილებით ადვილია შეგამჩნიონ, როდესაც ტურინში ხარ და როგორც ხედავთ, ბოლოს და ბოლოს, აქ ვარ კიდეც. ახლა ვრწმუნდები, რომ საქმისადმი ყოველთვის სწორი დამოკიდებულება მქონდა. ეს გახლავთ თავდადება და დაჟინება, რისი წყალობითაც ეროვნულ გუნდში მოხვედრას ვაპირებდი“.

ჯონათან ძებინა „იუვენტუსს“ ჩინებულად მოერგო და „ბებერი ქალბატონის“ დაცვის მარჯვენა ფრთას პირველივე დღეებიდან იოლად შეეგუა.

**ბაკუნა ძედია**



ჯონათან ძებინას რომაული წლების დავიწყება სურს




# FIFA 2004

ადრიანო (ინტერი)
რობერტო აიალა (ვალენსია)
მიხაელ ბალაკი (ბაიერნი)
მილან ბაროში (ლივერპული)
დევიდ ბექემი (რეალი)
ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი)
კაფუ (მილანი)
კრისტიანო რონალდო (მანჩესტერ იუნაიტედი)
დეკო (ბარსელონა)
დიდიე დროგბა (ჩელსი)
სამუელ ეტოო (ბარსელონა)
ლუიშ ფიგუ (რეალი)
სტივენ ჯერარდი (ლივერპული)
რაიან გიგზი (მანჩესტერ იუნაიტედი)
ტიერი ანრი (არსენალი)
ზლატან იბრაჰიმოვიჩი (იუვენტუსი)
ოლივერ კანი (ბაიერნი)
კაკა (მილანი)
ფრენკ ლამპარდი (ჩელსი)
ჰენრიკ ლარსონი (ბარსელონა)
როი მაკაი (ბაიერნი)
პაოლო მალდინი (მილანი)
პაველ ნედვედი (იუვენტუსი)
ალესანდრო ნესტა (მილანი)
მაიკლ ოუენი (რეალი)
რობერ პირესი (არსენალი)
რაული (რეალი)
რობერტო კარლოსი (რეალი)
რონალდინიო (ბარსელონა)
რონალდო (რეალი)
უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი)
ანდრეი შევჩენკო (მილანი)
რუუდ ვან ნისტელროი (მანჩესტერ იუნაიტედი)
თეოდოროს ზაგორაკისი (ბოლონია)
ზინედინ ზიდანი (რეალი)

უკვე შემოდგომაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ახლოვდება ახალი წელი ანუ ფიფას ვერსიით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის დასახელების დღე. მოგეხსენებათ, ფიფას გამოკითხვაში მსოფლიოს ქვეყნების ნაკრებთა მწვრთნელები მონაწილეობენ, რომელთაც წინასწარ ურიგდებათ 35-კაციანი სია და თითოეულმა მათგანმა ამ ოცდათხუთმეტი კაციდან სამი უნდა ამოირჩიოს.

35-კაციან სიას, ანუ ეგრეთ წოდებულ, შორთ-ლისტს, ამჯერად სათავეში „ა“-ზე დაწყებული გვარით, ბრაზილიელი თავდამსხმელი ადრიანო უდგას და რაკილა იტალია ვახსენეთ, ბარემ აქვე დავძინოთ, რომ საკუთრივ „სკუადრა აძურა“ შორთ-ლისტში სამი ფეხბურთელით, „იუვენტუსის“ მეკარე ჯანლუიჯი ბუფონით, „მილანის“ კაპიტნით, პაოლო მალდინით და „მილანისავე“ მცველით ალესანდრო ნესტათი არის წარმოდგენილი. ზემოხსენებული ტრიოს გარდა, სერია A-დან კიდევ არიან ადრიანო, კაფუ, კაკა, ჩეხი პაველ ნედვედი, უკრაინელი ანდრეი შევჩენკო და ბერძენი თეოდორის ზაგორაკისი.

ხუთი კაცითაა წარმოდგენილი ინგლისის ნაკრები. ეს ხუთი კაცი გახლავთ დევიდ ბექემი, სტივენ ჯერარდი, ფრენკ ლამპარდი, მაიკლ ოუენი და უეინ რუნი.

ბრაზილიელები ადრიანოს, კაფუს და კაკას გარდა არიან: რობერტო კარლოსი, რონალდინიო და რონალდო — სულ ექვსი ფეხბურთელი.

ბერძენი ერთადერთია, ზემოხსენებული თეოდოროს ზაგორაკისი „ბოლონიიდან“.

კლუბებიდან ყველაზე მეტი მოთამაშე მადრიდის „რეალს“ ჰყავს შორთ-ლისტში — შვიდი. მასზე ორით ნაკლები ჰყავს „მილანს“. უცნაური გახლავთ ის, რომ 35 კაციან სიაში ფიფამ არ შეიყვანა ფრანჩესკო ტოტი, თუმცა მეორე მხრივ, ევროპის ჩემპიონატზე „გადაფურთხებულის“ გამო ეს შეიძლება მაინცდამაინც უცნაურიც არ იყოს.

**ბაკუნა ძედია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მუტუ ომშია

## გაიგე, ქოზე, ჯერ რუმინეთი!




ადრიან მუტუს, შარშან ამ დროს ყველაზე მოდურმა „ჩელსის“ თავდამსხმელმა ღია ომი გაუცხადა მენეჯერ ჟოზე მაურინიუს.

მაურინიუს რუმინეთის ნაკრებისთვის შეუთვლია, მუტუ ტრავმირებულია და ჩეხებთან შესარჩევი მატჩის სათამაშოდ ვერ გამოვუშვებთო. მუტუს კი ფეხი დაუკრავს და წასულა, ეგ ჩვენი მენეჯერი მატყუარააო.

რუმინელი ამტკიცებს, რომ მცირე ტრავმა ჯერ კიდევ 5 დღის წინათ მოუშუშდა და მენეჯერმა ეს შესანიშნავად იცოდა. ნაკრებიდან დაბრუნებულ ურჩ ფეხბურთელს, რომელსაც მაურინიუ არ სწყალობს და ამ სეზონში მხოლოდ 50 წუთს ათამაშა, ორი კვირის ხელფასის დაქვითვა ელის, თუმცა ამისა სულაც არ ეშინია: „ეგ არ მადარდებს, მინდა ყველამ იცოდეს, რომ ნაკრები და ჩემი ქვეყან ყველაზე მნიშვნელოვანია. ლაპარაკი არ უნდა, მარუნიუსთან ღია ომში ვარ და ეს ხელ-ფეხს მოხსნის, რათა სხვაგან წავიდე“.

კვირას მუტუ „ლივერპულთან“ მატჩის განაცხადშიც ვერ მოხვდა: ითქვა, მუხლი სტკივაო. „ეგ ტყულია. მე ვუთხარი მწვრთნელს, რომ ჯანზე ვარ. მან ექიმის დასკვნა მიჩვენა, რომ ფეხი მტკივა. მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ ჯანზე ვარ? და საერთოდ, ის დამპირდა, რომ ძირითადშიც მათამაშებს ხოლმე, მე კი განაცხადშიც არ ვარ. საუკეთესო გამოსავალი, ალბათ, სხვა გუნდში წასვლაა“.

**ირაკლი გამყრელიძე**




# ის ღმერთი აღარ არის

## გაზა დიდი მწვრთნელი გახდება, ამბობს გაზა

გაზამ კიდევ ერთი გუნდი მიატოვა. პოლ გესქოინი ბოლო ორ თვეს მეორე დივიზიონის „ბოსტონ იუნაიტედში“ თამაშობდა და მოთამაშე-მწვრთნელადაც ირიცხებოდა, იქაური მენეჯერის სტივ ევანსის თანაშემწედ. როგორც ბოსტონში ამბობენ, დიდად დახმარებია გუნდს, რომ დივიზიონის ცხრილში მეცხრე საფეხურზე ყოფილიყო, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ახლაც წასვლა გადაწყვეტია.

ოღონდაც, ამჯერად გაზა ნიუკასლს კი არ წასულა სალოთაოდ, მწვრთნელთა კურსების გავლას აპირებს.

პატარა „ბოსტონი“ კი მეტად დამწუხრებულია. კლუბის თავმჯდომარემ, ჯონ სატნიკმა ისიც კი თქვა, ძალიან ნაღვლიანი დღეა ჩვენთვის, რადგან ეს საოცარი კაცი გვტოვებს, მაგრამ პოლს სწავლა უნდა და გვგონია, რომ ნასწავლი დაგვიბრუნდებაო.

მოთამაშე მწვრთნელად გაზა ადრეც იყო, როცა ჩინეთში აგორებდა ბურთს. იქიდან მობურნებული „ვულვზში“ ვარჯიშობდა, მაგრამ...

„ბოსტონში“ ბოლო თამაში მან სამი კვირის წინ ითამაშა, სათასო შეხვედრაში 1:4 წააგო „ფულემთან“. „ბოსტონიდან“ წასვლას თავად გაზაც დაუმწუხრებია: „ყველას ხელი ჩამოვართვი. ეს ჩემს კარიერაში ერთ-ერთი მძიმე გადაწყვეტილება იყო, მაგრამ მიზეზიც სერიოზული მქონდა“.

გესქოინი ფეხბურთის ასოციაციის სამწვრთნელო კურსების მსმენელი შეიქმნა. ამ კურსებს სემი ლი ატარებს, „ლივერპულის“ ყოფილი ნახევარმცველი და ამჟამად სვენ გორან ერიკსონის ერთ-ერთი ასისტენტი. „ხვალ სემის შევხვდები — დაჯერებით ამბობს გაზა — მე მინდა, რომ უმაღლესი კლასის მწვრთნელი გავხდე. ამისთვის სულ მაგარ-მაგარ მწვრთნელებს უნდა შევხვდე და ველაპარკო, რათა მეტი ვისწავლო, ეს ისეთი საქმეა, რომ აი, ამ ჩემი მხრებით უნდა ვზიდო. მგონი, სწორ საქმეს მივდევ“.

და კიდევ, გაზა ლოთი აღარ არის.

„ათი წლის წინათ, ასეთ დროს ბოთლ ვისკის ჩავცლიდი, ახლა აღარ“— ამას შენ ამბობ გაზა?!

**ირაკლი გამყრელიძე**

# კი, კივუ!

„რომაში“ საიმედო ნიშნები გამოჩნდა: ბოლო ტურში, „ინტერთან“ 1:3-ის 3:3-ად ქცევის შემდეგ ახალი ცნობა გამოვიდა კლუბის ოფისიდან — კრისტიან კივუმ ვარჯიში განაახლა. მოგეხსენებათ, რუმინელ მცველს ამ სეზონში ჯერ არ უთამაშია. მიზეზი: გასულ ზაფხულს მან ფეხის ძვალი გაიტეხა. ამჟამად კი ყოფილმა აიაქსელმა უკვე სრული დატვირთვით ივარჯიშა და მეექვსე ტურში, „ლივორნოს“ წინააღმდეგ ელიან მის მოედანზე გამოჩენას.



თუ ცხრილში ჩავიხედავთ, დავინახავთ, რომ „ჯალოროსის“ „უდინეზესთან“ ერთად ყველაზე მეტი გოლი აქვს გაშვებული. რაც პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ნიჭიერი რუმინელი ვარსკვლავი რომაელებს ძალიან აკლდათ. დაგვეთანხმებით, ხუთ შეხვედრაში 12 გოლის გაშვება ნებისმიერი, მით უფრო კი იტალიური გუნდისთვის, საშინელი შედეგია.

„რომას“ მიმომხილველები წერენ, რომ გუნდის ახალ მწვრთნელს, ლუიჯი დელ ნერის გადასაწყვეტი აქვს, სად უნდა ათამაშოს კივუ, დაცვის ცენტრში თუ მარცხენა მცველის პოზიციაზე. საქმე ის გახლავთ, რომ ჯერჯერობით როგორც ფილიპ მექსეშს, ასევე მატეო ფერარის პრობლემები აქვთ.

გამოჯანმრთელდა კიდევ ერთი ფეხბურთელი, გაეტანო დაგოსტინოც. იტალიის 21-წლამდელთა ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი მარცხენა მცველი იქნება თუ ნახევარმცველი, ჯერ ესეც გადასაწყვეტია.

**ბაპუნა ძიძია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გინდათ, ოუენი გავლანძღო?!

## მორიენტესი სკამზე ზის და რეალი უკიდია

*ფერნანდო მორიენტესი მადრიდის „რეალში“ ძნელ ვითარებაში აღმოჩნდა — 2004-05-ის სეზონის დასაწყისში კასტილიელთა მაშინდელმა დამრიგებელმა ხოსე ანტონიო კამაჩომ შარშანდელი ჩემპიონთა ლიგის მთავარმეგოლე სამეფო გუნდის ძირითადში ყოფნის დაპირებით მადრიდში დატოვა, თუმცა პრეზიდენტ ფლორენტინო პერესის მიერ მაიკლ ოუენის შეძენით „რეალმა“ „ელ მოროს“ კამაჩოსეული აღთქმა კვლავაც სათადარიგოთა საკმთან მჭიდრო ნაცნობობით შეუცვალა. ამის მიუხედავად ფერნანდო მომავალს იმედიანად უყურებს, თუმც ესპანურ „ასთან“ ინტერვიუში ოუენის ტრანსფერით დიდი კმაყოფილება არ ეტყობა...*

— როგორია თქვენი განწყობა „დეპორტივოსთან“ დამარცხების შემდეგ?

— რომ მოგვეგო, შესანიშნავი იქნებოდა. თუმცა სამწუხაროდ, წავაგეთ და „რეალი“ მძიმე სიტუაციაში ჩავარდა. ჩემპიონთა ლიგაში ყველაფერი გაცილებით უკეთაა, აი, ესპანეთის ჩემპიონატში კი სირთულეები შეგვექმნა და ეს საკმაოდ გვაშფოთებს...

— „ბერნაბეუზე“ თქვენი გუნდის მთავარი პრობლემა უგოლობაა...

— გეთანხმებით. მადრიდის „რეალის“ ძირითადი დამახასიათებელი ნიშან-თვისება სახიფათო სიტუაციათა შექმნა და გოლების გატანაა, „დეპორტივოსთან“ კი ყველაფერი პირიქით მოხდა. საერთოდ, წლევანდელ პრიმერადივიზიონში გოლების დიდი დეფიციტი გვაქვს, რაც ჩემი აზრით, ძალიან ცუდი მოვლენა გახლავთ.

— გალისიელებთან ძირითად შემადგენლობაში თამაშს ელოდებოდით?

— მე ყოველთვის ძირითადში ყოფნას ველოდები, თუმც გუნდის შემადგენლობას მწვრთნელი ადგენს და მის მოსაზრებებს პატივი უნდა ვცეთ. ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, ცხადია, ყველა მატჩში სასტარტოში ვითამაშებდი. ერთი რამ კი ნათელია — „რეალში“ ოუენის მოსვლის მერე თავდასხმაში კონკურენცია უწინდელზე მეტად გაიზარდა.

— „რეალი“ ესპანეთის ჩემპიონატში ამჟამად მე-10 ადგილზეა და ყველაზე საშიშ მეტოქეებს, „ბარსელონასა“ და „ვალენსიას“ საკმაოდ ჩამორჩება. პრიმერას ამ გრანდებზე რას გვეტყვით?

— დღეს „ბარსას“ და „ვალენსიას“ არა მარტო ცხრილში, არამედ თამაშითაც ჩამოვრჩებით. 2004-05-ის პირველობა თავიდანვე ცუდად დავიწყეთ. თუმც პრიმერას დასრულამდე დიდი დროა დარჩენილი და იმედია, ვითარებას საჩვენოდ შემოვატრიალებთ. გაცილებით უარესი იქნებოდა პირიქით რომ მომხდარიყო, ანუ კარგი სტარტი და ცუდი ფინალი...

— მაიკლ ოუენის შესახებ ვისაუბროთ. სამეფო გუნდის პრეზიდენი პერესი ინგლისელზე ოდენ დადებითად საუბრობს და ამტკიცებს, რომ მისი მადრიდში გადმოყვანით არ შემცდარა. ფლორენტინოს ოუენისადმი ერთგულება თქვენ არ გაღელვებთ?

— ოუენის ტრანსფერი პრეზიდენტის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული და, ცხადია, სენიორ ფლორენტინო მასზე ცუდს არაფერს იტყვის. მე კი ვფიქრობ, რომ მაიკლს არავითარი რეკლამა და მხარდაჭერა არ სჭირდება, მთელმა მსოფლიომ იცის, ვინც არის. მასთან კონკურენციის მიუხედავად „რეალში“ ჩემი ადგილისა არ მეეჭვება, ვიცი, ინჩასებს ვუყვარვარ და ამ მხრივ არაფერზე ვღელავ.

— ოუენი ხომ „დეპორტივოსთან“ ძირითადში პრესასთან გამოთქმული უკმაყოფილო მოსაზრებათა გამო მოხვდა, ინგლისელმა სათადარიგოებში ყოფნით დაიჩივლა და მწვრთნელმა რემონმაც გალისიელებთან მატჩში დაუყოვნებლივ მოედანზე უხმო...

— გინდათ, რომ ინგლისელი გავაკრიტიკო. კი ბატონო, ჩათვალეთ, რომ მაიკლი უკვე შემომელანძღა... ეს ხუმრობით; ისე კი, იცოდეთ, ფერნანდო მორიენტესი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ საწუწუნოდ და საჩივლელად არ მოსულა, ასეთი რამ ცხოვრებაში არ მიქნია და არც არასოდეს გავაკეთებ. სამეფო გუნდის ძირითადში ჩემი მოხვედრის შანს მოთმინებით დავუცდი.

— იქნებ „რეალში“ მთელი 90 წუთის განმავლობაში რომ გეთამაშათ, მეტი გოლების გატანაც მოგეხერხებინათ?

— „დეპორთან“ 45 წუთი ვვითამაშე და მოლინას ვერ გავუტანე. ისე რომ მოხდეს, როგორც თქვენ ამბობთ, ალბათ... მაინც, წინასწარ ძნელია რაიმეს განსაზღვრა. ნებისმიერ შემთხვევაში ორი ტაიმის სათამაშოდ ყოველთვის მზად ვარ.

— „რეალში“ კონკურენცია თქვენთვის ძალიან რთული ხომ არ არის?

—„რეალში“ კონკურენცია ადრეც ძნელი იყო და მომავალშიც ძნელი იქნება. „სანტიაგო ბერნაბეუზე“ წლეულს ხოსე ანტონიო კამაჩოს თხოვნით დავრჩი. დღეს კი ჩვენთან აღარც კამაჩო მწვრთნელობს და სიტუაციაც მნიშვნელოვანწილად შეიცვალა. გუნდს თავდასხმაში 4 ძირითადი ფორვარდი ჰყავს, ერთით ნაკლები რომ ყოფილიყო, „დეპორთან“ ბურთაობის შანსი ადვილად მომეცემოდა, ამჟამად კი საქმე შედარებით რთულადაა.

— ფლორენტინო პერესის მიერ გაჩარხულ წლევანდელ ტრანსფერებს როგორ შეაფასებდით?

— ვცდილობ, პრეზიდენტის საქმეეში არ ჩავერიო. „რეალის“ დღევანდელობაზე ჩემი საკუთარი აზრი მაქვს, მაგრამ ინტერვიუში ამის გამოთქმისგან თავს შევიკავებ. ვინც ახლოს მიცნობს, კარგად იცის, რისი მჯერა და უნდობლობით რასაც ვეკიდები. არ არის ლამაზი, რომ ფეხბურთელმა გუნდში ახალი ტრანსფერების შესახებ სახალხოდ კამათი დაიწყოს.



მაიკლ ოუენს და ფერნანდო მორიენტესს „რეალში“ ადგილი ვერ უპოვიათ



## ტონის მაღალი ტონი

ლუკა ტონი ამბობს, რომ „პალერმოში“ თავს ბედნიერად კი გრძნობს, მაგრამ რომელიმე დიდ გუნდში გადასვლაზე ოცნებობს.

რა შეხსენება უნდა, რომ იტალიის ნაკრების ამ ფეხბურთელმა სეზონი დიდებულად დაიწყო და ჭორებიც მისდის, რომ დიდი კლუბები მისი შეძენით არიან დაინტერესებულნი.

„ხალხი მეუბნება, რომ ისეთი დიდი კლუბები, როგორებიც არიან „რომა“ და სხვანი, ჩემით დაინტერესდნენ, რაც ძალიან მსიამოვნებს. დიდ გუნდში თამაში ხომ ყველას ოცნებაა, მით უფრო იმ შემთხვევაში, თუ ეს გუნდი დიდ ევროპულ შეჯიბრებაში გამოდის და საერთაშორისო გამოცდილებით გამდიდრებას გპირდება“ — ამბობს ტონი. თუმცა, ბუნებრივია, რომ ლუკა ამწუთას „პალერმოში“ თამაშსა და წარმატების სიცილიელებთან ერთად მოპოვებაზე ფიქრობს:

„პალერმოში“ თავს ბედნიერად ვგრძნობ და მინდა ეს გუნდი უეფას თასზე გავიყვანო. მეორე მხრივ, ნათქვამია, მოჩქარეს მოუგვიანდესო — ჯერჯერობით ჩვენი უპირველესი ამოცანა სერია A-ში ადგილის შენარჩუნება გახლავთ. ის ფაქტი, რომ მარჩელო ლიპიმ ჩემს გარდა კიდევ ერთი პალერმოელი, კრისტიან ძაკარდო წაიყვანა ნაკრებში, უკვე მრავლისმეტყველია“.

„ბრეშას“ ყოფილი ფეხბურთელი არც თავის პირად ბომბარდირულ გეგმებს მალავს.

„მინდა სერია A-ში ჩემი საკუთარი რეკორდი გავაუმჯობესო და 13-ზე მეტი გოლი შევაგდო“ — თქვა მან.

**პაპუნა ბედია**

# მატეო ფერარი ბირჩევთ

## ეთამაშე საუკეთესოს და იქნები საუკეთესო




*მატეო ფერარიმ გასულ სეზონში თავი წარმოაჩინა, როგორც „პარმას“ ახალგაზრდათა შორის ერთ-ერთმა ყველაზე ნიჭიერმა და დიდი მომავლის მქონემ. წლეულს იგი „რომაშია“, დაცვის ცენტრში თამაშობს და იტალიელ ჟურნალისტს, დომინიკ ანტონიონის წარსულსა და მომავალზე ელაპარაკება*

— მატეო, როგორ შეაფასებდით გასულ სეზონში საკუთარ თამაშს?

— საერთოდ, მიჯობს სხვებმა შეაფასონ ჩემი თამაში. მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ გასული სეზონი უკვე მეორე იყო, რომელიც ალბათ, უმაღლეს დონეზე ჩავატარე. რაც შეეხება „პარმას“, ვფიქრობ, დიდებული სეზონი გვქონდა — ათბალიანი სისტემით რომ შევაფასოთ, ცხრიანზე ვითამაშეთ.

— ეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ იტალიურ ფეხბურთში ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდა ხართ?

— მას მერე, რაც სერია A-ში მეხუთე წელიწადი გავატარე და 24 წლისა გავხდი, არ ვეთანხმები იმ აზრს, რომ ისევ ძალიან ახალგაზრდა ვარ.

— ბოლო სამი სეზონის განმავლობაში „პარმამ“, როგორც ჩანს ბევრი რამ შეგძინათ, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ იქ, „ინტერში“ გატარებული ძალიან მძიმე წლის შემდეგ მიხვედით...

— „ინტერში“ ისეთ პრობლემებს გადავაწყდი, რომელთა გადაჭრა და დაძლევა ჩემთვის მეტისმეტად ძნელი იყო. მაშინ, მხოლოდ 20 წლისა გახლდით და დიდ კლუბში პირველ წელიწადს ვატარებდი. ერთ ხანს, საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვიც კი შემეპარა. უკვე კრიტიკოსებს ვეთანხმებოდი ჩემს განქიქებაში. მოგვიანებით მივხვდი, რომ ასეთ უსიამოვნო მდომარეობაში მხოლოდ უილბლობის გამო მოვხვდი. მეორე მხრივ, ამ გამოცდილებამ ჩემი ხასიათის ჩამოყალიბებაში შეიტანა უდიდესი წვლილი.

— პაოლო მალდინი, ფაბიო კანავარო და მარკო მატერაცი უკვე გადასცდნენ 30-ს. ხვდებით, რომ ერთ-ორ წელიწადში იტალიის საუკეთესო მცველი სწორედ თქვენ უნდა გახდეთ?

— ფეხბურთში ხვალ არ არსებობს. იმისთვის, რომ სახით არ დაენარცხო, საჭიროა ყოველ წამს მყარად დადგა მიწაზე ფეხი. ვიცი, როგორ არა, სწორი მიმართულებით რომ მივდივარ, მაგრამ ისევ იმას ვიტყვი, რომ ფეხბურთში საუბარი მხოლოდ აწმყოზე, დღევანდელობაზე შეიძლება. აქ მხოლოდ ერთი დღე არსებობს.

— მცველებზე საუბრისას არ შემიძლია არ გკითხოთ ნიკოლა ლეგროტალიეს შესახებ, რომელსაც „იუვენტუსში“ შარშანდელი სეზონი უბრალოდ, ჩაუვარდა. რას ფიქრობთ, რა უნდა იყოს მიზეზი?

— დაკვირვებული ვარ, „იუვენტუსში“ პირველ წელიწადს ყველა ახალგადასულს უჭირს. ამასთანავე, ნიკოლას ტრავმებმა შეუშალა ხელი, თუმც, ვფიქრობ მთავარი მაინც ახალ გარემოსთან შეგუება და იქ დამკვიდრება იყო. კარგად ვიცი რა სიძნელეებთანაც არის დაკავშირებული კარიერის მორიგი ნაბიჯი.

— თქვენც ასეთი კალიბრის კლუბში რომ გადასულიყავით, გაგიჭირდებოდათ?

— „ინტერში“ ხომ გავატარე ერთი სეზონი? ასე, რომ მგონი, მზად ვიქნებოდი სიძნელეებისთვის.

— მაშ, თქვენის ნებართვით, ჩეზარე პრანდელიზე ვილაპარაკოთ. რატომ გამოსდის მას ასე კარგად ახალგაზრდებთან მუშაობა?

— ის ნამდვილი მასწავლებელია. კარიერაში ბევრი მწვრთნელი მყოლია, მაგრამ იმდენი, პრანდელის რომ უსწავლებია, ვერავის მოუხერხებია. მარტო იმას კი არ გასწავლის, მოედანზე როდის, რა ვითარებაში, სად და როგორ უნდა დადგე და გაიქცე, არამედ იმას გასწავლის, როგორ უნდა იფიქრო. ბოლო 24 თვეში მისი მითითებებით ბევრი რამ ვისწავლე. ადრე ჯანით ვცდილობდი პრობლემების გადაჭრას, ახლა კი იმავე პრობლემებს ტაქტიკური აზროვნების, პოზიციის სწორად შერჩევის გზით ვწყვეტ.

— რომელი იყო თქვენთვის საუკეთესო თამაში შარშანდელ სეზონში?

— „სან სიროზე“ „ინტერთან“ მატჩი. თამაშის შემდეგ, წაგების გამო გაბრაზებული ვიყავი, მაგრამ იმავდროულად, ძალიან მიხაროდა ჩემი კარგი თამაში.

— და როგორ ითამაშა იმ დღეს კრისტიან ვიერიმ?

— ლომივით. ის იბრძოდა გამძვინვარებული, რათა ამ გიჟური ცხოვრებისთვის სათავისოდ რამე წაეღლიტა. საერთოდ, ძალიან მიკვირს მისი დონის და ნიჭის შესახებ ეჭვს რომ გამოთქვამენ. იმას მაინც ჩახედონ, რამდენი გოლი აქვს გატანილი. ვიერის არავისთვის არაფერი აქვს დასამტკიცებელი.

— რატომ აქვს „ინტერს“ ამდენი პრობლემა და რატომ ვერ იგებს რომელიმე სერიოზულ ჯილდოს?

— მგონი, ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, რომ ამ კლუბის მეპატრონეს, მასიმო მორატის გარს უამრავი შემთხვევითი ხალხი ახვევია. ალბათ, მას მეტი წესრიგის დამყარება მართებს და კარგი იქნება, კლუბის ხელმძღვანელთაგან ერთი-ორს თუ გაუშვებს. მორატი მეტად უნდა განმარტოვდეს და დაუკვირდეს, სად არის მთავარი პრობლემა.

— ბავშვობაში კარპი გყავდათ?

— დიახ. „რომას“ მცველი ჯუზეპე ჯანინი, ოღონდ მან ამის შესახებ არ იცის. შეიძლება, ამ ინტერვიუდან გაიგოს.

— თქვენთვის სამაგალითოდ ვინ მიგაჩნიათ?

— პაოლო მალდინი და ალესანდრო ნესტა. ძალიან სამწუხაროა, პაოლოს გვერდით ერთხელაც რომ ვერ ვითამაშე.

— თქვენი საუკეთესო თვისება...

— მაღალი ნახტომი. ეს ჩემი ბუნებრივი თვისებაა, რომელსაც მერე დიდძალი მუშაობაც მივაშველე. მეორე მხრივ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თავით უკვე უზადოდ ვთამაშობ, ამაზე ჯერ კიდევ ბევრი მაქვს სასწავლი.

— ვინ მიგაჩნიათ მსოფლიოს საუკეთესო მცველად?

— სანდრო ნესტა.

— და ბოლოს, დაგვისახელეთ თავდამსხმელი, რომელსაც სიამოვნებით არ შეხვდებოდით...

— ასეთი არავინაა. იმისთვის, რომ გაიგო, რამდენად ძლიერი ვარ მე, საუკეთესოებს უნდა ვეთამაშო.

## ფეხბურთის რუკასთან

**იტალიური** „მილანის“ უფროსობამ ოფიციალურად გამოაცხადა, ახალგაზრდა ფორვარდი ალბერტო ჯილარდინო თუ ზამთრის სატრანსფერო სეზონში (იანვარი) ვერ გადავიბირეთ, „პარმას“ თავდამსხმელს ზაფხულში აუცილებლად შევიძენთო. „პარმა“ ჯილარდინოს სანაცვლოდ 20 მილიონ ევროს ითხოვს, „მილანი“ კი 12 მილიონის და ზედ ორი ყმაწვილი ფეხბურთელის — ნიკოლა პოცი და იგნაციო აბატე — მიცემაზეა ყაბულს.

**ბულგარეთის** ფეხბურთის ფედერაცია უეფაში პიერლუიჯი კოლინას უჩივის. საქმე ისაა, რომ მომავალ უქმეებზე ბულგარეთი ხორვატიას უნდა ეწვიოს 2006 წლის მუნდიალის შესარჩევი მატჩის გასამართად, ხოლო შეხვედრის არბიტრი სწორედ კოლინაა. ბულგარელებს კი ეს არ სიამოვნებთ, რადგან მათი აზრით, ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციას იტალიელ მსაჯთან გარკვეული კონტაქტები აქვს.

**ინგლისური** „არსენალი“ მალე ახალ სპონსორ EMIRATES AIRLINES-თან გააფორმებს კონტრაქტს. როგორც იცით, ეს კომპანია მეორე ლონდონურ კლუბ „ჩელსისთანაც“ თანამშრომლობს. სავარაუდოდ, „მეთოფეთა“ ახალი სტადიონი ამ კომპანიის სახელობის იქნება, რადგანაც მოედნის მშენებლობის თანხას, 357 მილიონ გირვანქას, სწორედ EMIRATES AIRLINES-ი გაიღებს. შეგახსენებთ, რომ „არსენალს“ ახალი სტადიონი 2006 წლისთვის ექნება და იგი 60 ათას ქომაგს დაიტევს.

**ესპანურ** „ბარსელონას“ გუშინ კიდევ ერთი წამყვანი ფეხბურთელი დაუშავდა — ფრანგმა ნახევარმცველმა ლუდოვიკ ჟიულიმ ვარჯიშზე მიიღო ტრავმა და სულ ცოტა ორი კვირა ვერ გაეკარება ბურთს. ჟიულიც „ბარსას“ ლაზარეთში მყოფ მოტას, გაბრის, სილვინიოს, ედმილსონს, ხერარდსა და მეკარე ალბერტ ხორკერას შეუერთდა.

**ინგლისური** „პორტსმუთის“ თავკაცი ჰარი რედნაპი კვლავაც დაცვის გაძლიერებაზე ფიქრობს. მან მარსელ დესაის შემდეგ ფეხბურთში დაბრუნება ლონდონის „არსენალის“ ყოფილ მცველს, მარტინ კიოუნს შესთავაზა. 38 წლის ფეხბურთელი ჯერჯერობით ფიქრობს, თუმც შესაძლოა, მხარეები უკვე კვირის ბოლოს შეთანხმდნენ.

**ბერძნული** „პანათინაიკოსის“ მფლობელმა იანის ვარდოიანისმა მთავარი მწვრთნელი იცხაკ შუმი პოსტიდან დაითხოვა. ებრაელ მწვრთნელს გუნდის მენეჯერთან ჰქონდა უთანხმოება. იცხაკ შუმმა შარშან „პანათინაიკოსი“ გააჩემპიონა და საბერძნეთის თასიც მოაგებინა. „პანათინაიკოსის“ ახალ მწვრთნელს მალე დანიშნავენ.

**ინგლისური** „ფულემი“ ყოფილ მწვრთნელ ჟან ტიგანას სასამართლოში უჩივის. ლონდონური კლუბის მტკიცებით, ფრანგმა სპეციალისტმა ედვინ ვან დერ სარისა და სტივ მარლეს შესაძენად საჭიროზე მეტი თანხა გადაიხადა. თანაც, ტიგანას ეს ტრანსფერები „ფულემის“ ადმინისტრაციისგან ფარულად, წესების დარღვევით განუხორციელებია.

**უკრაინული** „დინამოს“ ფორვარდმა დიოგო რინკონმა კიევურ კლუბთან 2010 წლამდე გაახანგრძლივა კონტრაქტი. 24 წლის ბრაზილიელი „დინამოში“ 2002 წელს „ინტერნასიონალიდან“ გადაბარგდა. უკრაინის ჩემპიონატში ჩატარებულ 60 მატჩში მან 16 გოლი შეაგდო, ხოლო ევროთასებზე გამართულ 16 შეხვედრაში 8-ჯერ გამოიჩინა თავი.

**შვეიცარიული** „გრასჰოპერის“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან ალან გაიგერი დაითხოვეს, წლევანდელი სეზონი ცუდად დაიწყოო. „კალიებს“ დროებით კარლოს ბერნეგერი უთავკაცებს. კლუბის ხელმძღვანელები ახალი მწვრთნელს მალე დანიშნავენ.

**იტალიური** „ლაციოს“ მეკარე ანჯელო პერუცი საოპერაციოა. 34 წლის გოლკიპერი სერია A-ს რამდენიმე მატჩს და უეფას თასის პირველ შეხვედრას ესპანურ „ვილიარეალთან“ გამოტოვებს. რომაელთა მწვრთნელი დომენიკო კაზო იმედიანადაა, ეგებ პერუცი ნოემბრის დასაწყისისთვის მაინც მომჯობინდესო.

## ჰოლანდია

### მეორე დივიზიონი
### გადადებული მატჩი

**ექსელსიორი 1:1 სიტარდი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვენლო | 6 | 5 | 1 | 0 | 18:5 | 16 |
| ვოლენდამი | 7 | 5 | 1 | 1 | 16:7 | 16 |
| ჰერაკლესი | 7 | 5 | 1 | 1 | 11:4 | 16 |
| ჰაარლემი | 7 | 5 | 0 | 2 | 19:7 | 15 |
| ზვოლე | 7 | 3 | 3 | 1 | 8:7 | 12 |
| დორდრეხტი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:8 | 11 |
| ექსელსიორი | 8 | 3 | 1 | 4 | 13:12 | 10 |
| სპარტა | 6 | 2 | 3 | 1 | 10:9 | 9 |
| სიტარდი | 7 | 2 | 3 | 2 | 9:11 | 9 |
| ოსი | 7 | 3 | 0 | 4 | 12:17 | 9 |
| ვეენდამი | 6 | 2 | 2 | 2 | 12:9 | 8 |
| იგლსი | 7 | 2 | 1 | 4 | 7:13 | 7 |
| ტელსტარი | 7 | 1 | 3 | 3 | 9:12 | 6 |
| აპელდორნი | 6 | 2 | 0 | 4 | 9:13 | 6 |
| ეინდჰოვენი | 7 | 1 | 3 | 3 | 10:15 | 6 |
| კამბური | 7 | 1 | 3 | 3 | 2:9 | 6 |
| მაასტრიხტი | 7 | 1 | 2 | 4 | 7:11 | 5 |
| ჰელმონდი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:12 | 5 |
| ემენი | 7 | 0 | 3 | 4 | 8:14 | 3 |

## პორტუგალია

### სუპერლიგა. V ტური

**ბრაგა 3:2 ნასიონალი**

1:0 ვენდერი (28), 1:1 ავალუში (47), 1:2 სერჟინიუ (49), 2:2, 3:2 ჟოაუ ტომაში (70, 73)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბენფიკა | 5 | 4 | 1 | 0 | 8:3 | 13 |
| პორტუ | 5 | 2 | 3 | 0 | 8:4 | 9 |
| ბრაგა | 5 | 2 | 3 | 0 | 7:5 | 9 |
| მარიტიმუ | 4 | 3 | 0 | 1 | 6:4 | 9 |
| სეტუბალი | 5 | 2 | 2 | 1 | 10:6 | 8 |
| რიუ ავე | 5 | 1 | 4 | 0 | 5:4 | 7 |
| ბელენენსეში | 5 | 2 | 1 | 2 | 8:8 | 7 |
| ბოავიშტა | 5 | 2 | 1 | 2 | 4:4 | 7 |
| პენაფიელი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:10 | 7 |
| ბეირა მარი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 6 |
| ნასიონალი | 5 | 2 | 0 | 3 | 8:9 | 6 |
| ლეირია | 5 | 1 | 2 | 2 | 9:9 | 5 |
| ეშტორილი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:8 | 5 |
| სპორტინგი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:7 | 5 |
| მორეირენსე | 5 | 1 | 2 | 2 | 6:9 | 5 |
| აკადემიკა | 5 | 1 | 1 | 3 | 6:8 | 4 |
| გიმარაეში | 5 | 1 | 1 | 3 | 3:5 | 4 |
| ჟილ ვისენტე | 5 | 1 | 0 | 4 | 6:8 | 3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **8 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.45 | 101 | ლ'უტონი-პარტლპ'ული | 1,6 | 3,5 | 5,6 | 1,09 | 1,24 | 2,15 |
| 23.45 | 105 | ბორნმ'უთი-სტოკპორტი | 1,6 | 3,5 | 5,6 | 1,09 | 1,24 | 2,15 |
| 23.45 | 106 | დონსი-ბრედფორდი | 2,25 | 3,2 | 2,8 | 1,32 | 1,24 | 1,49 |
| 23.45 | 107 | პორტ ვეილი-დონკასტერი | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| | | **9 ოქტომბერი** | | | | | | |
| 15.00 | 102 | ბარნსლი-ბრენტფორდი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| 16.00 | 103 | ტორკი-ჰადერსფილდი | 2,8 | 3,2 | 2,25 | 1,49 | 1,24 | 1,32 |
| 16.00 | 104 | 'ულსოლი-კოლჩესტერი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| | | **10 ოქტომბერი** | | | | | | |
| 15.15 | 108 | ჰალი-ჩესტერფილდი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 17.00 | 109 | ოლდემი-ბლეკპ'ული | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| 17.00 | 110 | ს'უინდონი-'უენსდი | 2,25 | 3,2 | 2,8 | 1,32 | 1,24 | 1,49 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **8 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.45 | 111 | ჩელტენემი-ჩესტერი | 2,15 | 3,2 | 3,0 | 1,28 | 1,25 | 1,54 |
| 22.45 | 112 | ნორთჰემპტონი-გრიმსბი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 22.45 | 113 | როჩდეილი-იოვილი | 2,8 | 3,2 | 2,25 | 1,49 | 1,24 | 1,32 |
| 22.45 | 114 | შრი'უსბერი-რაშდენი | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,52 |
| 22.45 | 115 | საუთენდი-ბოსტონი | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,52 |
| 22.45 | 116 | ს'უონსი-მენსფილდი | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,19 | 1,23 | 1,67 |
| 23.00 | 117 | სკანთორპი-'უიკომბი | 2,15 | 3,2 | 3,0 | 1,28 | 1,25 | 1,54 |
| | | **9 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16.00 | 118 | კემბრიჯი-როვერსი | 2,7 | 3,2 | 2,3 | 1,46 | 1,24 | 1,33 |
| 16.00 | 119 | ლეიტონი-ბერი | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| 16.00 | 120 | ლინკოლნი-კიდერმინსტერი | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| | | **10 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.00 | 121 | მაკლსფილდი-ნოტსი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 18.00 | 122 | ოქსფორდი-დარლინგტონი | 1,8 | 3,2 | 2,8 | 1,15 | 1,09 | 1,49 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **8 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.45 | 133 | 'უოკინგი-ჰალიფაქსი | 2,25 | 3,2 | 2,8 | 1,32 | 1,24 | 1,49 |
| | | **9 ოქტომბერი** | | | | | | |
| 15.00 | 134 | ქროული-ნორთვიჩი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 16.00 | 135 | ექსეტერი-კარლაილი | 2,7 | 3,2 | 2,3 | 1,46 | 1,24 | 1,33 |
| 16.00 | 136 | ფარნბორო-იორკი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| 16.00 | 137 | ბარნეტი-დაგ ენდ რედი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 16.00 | 138 | მორიკომბი-ტემ'უთი | 1,7 | 3,4 | 4,2 | 1,13 | 1,21 | 1,87 |
| 16.00 | 139 | სკარბორო-ალდერშოტი | 2,35 | 3,2 | 2,6 | 1,35 | 1,23 | 1,43 |
| 18.00 | 140 | ბარტონი-გრეივსენდი | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,37 | 1,22 | 1,4 |
| 18.00 | 141 | კონვი-ფორესტ გრინი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,07 | 1,19 | 2,1 |
| 18.00 | 142 | ლეი-სტივენეიჯი | 2,45 | 3,2 | 2,45 | 1,38 | 1,22 | 1,38 |
| | | **11 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.45 | 143 | აკრინგტონი-ჰერეფორდი | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,37 | 1,22 | 1,4 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი)** | | | | | | |
| | | **8 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21.30 | 145 | ბრაუნშვაიგი-კილი | 1,95 | 3,3 | 3,3 | 1,22 | 1,22 | 1,65 |
| | | **9 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16.00 | 146 | ლიუბეკი-ზტ.პაული | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| 16.00 | 147 | დორტმუნიდი(მ)-პადერბორნი | 2,6 | 3,2 | 2,35 | 1,43 | 1,23 | 1,35 |
| 16.00 | 148 | ვერდერი(მ)-ოსნაბრი'უკი | 2,15 | 3,3 | 2,9 | 1,3 | 1,23 | 1,54 |
| 16.00 | 149 | ქემნიცი-ჰამბურგი(მ) | 3,0 | 3,2 | 2,15 | 1,54 | 1,25 | 1,28 |
| 16.00 | 150 | 'ურდინგენი-ჰერტა(მ) | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,07 | 1,19 | 2,1 |
| 16.00 | 151 | ვოლფსბ'ურგი(მ)-ვ'უპერტალი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| 16.00 | 152 | მი'უნსტერი-კიოლნი(მ) | 2,2 | 3,3 | 2,8 | 1,32 | 1,23 | 1,51 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი)** | | | | | | |
| | | **8 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21.00 | 153 | ელვერსბერგი-მაინცი(მ) | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| 21.00 | 154 | ფ'ულენდორფი-მი'უნხენი(მ) | 2,1 | 3,3 | 3,0 | 1,28 | 1,23 | 1,57 |
| 21.30 | 155 | ზიგენი-კიკერსი | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| 21.30 | 156 | დარმშტადი-ფოიხტი | 1,6 | 3,5 | 4,8 | 1,09 | 1,2 | 2,02 |
| | | **9 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16.30 | 157 | ჰოფენჰაიმი-რეგენსბ'ურგი | 2,15 | 3,3 | 2,9 | 1,3 | 1,23 | 1,54 |
| 16.30 | 158 | ა'უგსბ'ურგი-ვეენი | 1,7 | 3,4 | 4,2 | 1,13 | 1,21 | 1,87 |
| 16.30 | 159 | აალენი-კობლენცი | 2,3 | 3,3 | 2,6 | 1,35 | 1,22 | 1,45 |
| | | **10 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.00 | 160 | ბაიერნი(მ)-ნოტინგენი | 1,3 | 4,4 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,77 |
| 17.00 | 161 | შტუტგარტი(მ)-ოფენბახი | 2,7 | 3,3 | 2,25 | 1,48 | 1,22 | 1,33 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **9 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.30 | 208 | სელტა-ფეროლი | 1,9 | 2,7 | 4,6 | 1,11 | 1,34 | 1,7 |
| 20.30 | 209 | ლეიდა-ელჩე | 2,15 | 2,7 | 3,6 | 1,19 | 1,34 | 1,54 |
| 20.30 | 210 | 'უელვა-მალაგა ბ | 1,8 | 2,7 | 5,0 | 1,08 | 1,32 | 1,75 |
| 21.30 | 211 | ეიბარი-ვალიადოლიდი | 2,3 | 2,7 | 3,3 | 1,24 | 1,35 | 1,48 |
| | | **10 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.00 | 212 | ალავესი-პონტევედრა | 1,85 | 2,7 | 4,8 | 1,09 | 1,33 | 1,72 |
| 19.00 | 213 | სპორტინგი-სალამანკა | 1,75 | 2,9 | 5,0 | 1,09 | 1,29 | 1,83 |
| 19.00 | 214 | ტარაგონა-ეხიდო | 2,6 | 2,6 | 2,9 | 1,3 | 1,37 | 1,37 |
| 19.00 | 215 | ტერასა-სი'უდადი | 1,7 | 2,9 | 5,6 | 1,07 | 1,3 | 1,91 |
| 20.00 | 216 | ალმერია-კორდობა | 2,05 | 2,7 | 4,0 | 1,16 | 1,35 | 1,61 |
| 21.00 | 217 | მ'ურსია-კადისი | 2,5 | 2,7 | 2,9 | 1,29 | 1,34 | 1,39 |
| 22.30 | 218 | სერესი-ტენერიფე | 1,95 | 2,7 | 4,4 | 1,13 | 1,35 | 1,67 |
| | | **მჩ. შესარჩევი მატჩები** | | | | | | |
| | | **9 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.00 | 027 | ფინეთი-სომხეთი | 1,2 | 5,3 | 11,0 | 1 | 1,08 | 3,57 |
| 18.00 | 028 | შოტლანდია-ნორვეგია | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| 18.00 | 029 | ინგლისი-'უელსი | 1,3 | 4,4 | 9,0 | 1 | 1,13 | 2,95 |
| 19.00 | 030 | შვედეთი-'უნგრეთი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 19.00 | 031 | ჩეხეთი-რ'უმინეთი | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| 19.00 | 032 | ლ'უქსემბ'ურგი-რ'უსეთი | 25,0 | 7,0 | 1,05 | 5,46 | 1 | 1 |
| 19.00 | 033 | ბელარ'უსი-მოლდოვა | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 19.30 | 034 | სლოვაკეთი-ლატვია | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 20.00 | 035 | კვიპროსი-ფარერები | 1,3 | 4,2 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,75 |
| 20.00 | 036 | მალტა-ისლანდია | 8,0 | 4,2 | 1,4 | 2,75 | 1,19 | 1,04 |
| 20.15 | 037 | 'უკრაინა-საბერძნეთი | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 038 | აზერბაიჯანი-ჩრდ.ირლანდია | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| 21.00 | 039 | ისრაელი-შვეიცარია | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| 21.00 | 040 | ალბანეთი-დანია | 4,0 | 3,3 | 1,8 | 1,8 | 1,24 | 1,16 |
| 21.00 | 041 | თურქეთი-ყაზახეთი | 1,07 | 7,0 | 17,0 | 1 | 1 | 4,95 |
| 21.15 | 042 | ლიხტენშტაინი-პორტუგალია | 40,0 | 10,0 | 1,01 | 8 | 1 | 1 |
| 22.00 | 043 | არგენტინა-ურუგვაი | 1,35 | 4,0 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,66 |
| 22.15 | 044 | ხორვატია-ბულგარეთი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 22.15 | 045 | ბოსნია-სერბია | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 22.30 | 046 | ავსტრია-პოლონეთი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 22.30 | 047 | მაკედონია-ჰოლანდია | 8,0 | 4,6 | 1,3 | 2,92 | 1,11 | 1,01 |
| 23.00 | 048 | საფრანგეთი-ირლანდია | 1,4 | 3,8 | 7,5 | 1,02 | 1,17 | 2,52 |
| 23.00 | 049 | სლოვენია-იტალია | 4,0 | 3,2 | 1,85 | 1,77 | 1,26 | 1,17 |
| 23.45 | 050 | ესპანეთი-ბელგია | 1,4 | 3,8 | 7,5 | 1,02 | 1,17 | 2,52 |
| 24.00 | 051 | ბოლივია-პერუ | 2,05 | 3,1 | 3,4 | 1,23 | 1,27 | 1,62 |
| 02.10 | 052 | კოლუმბია-პარაგვაი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 05.00 | 053 | ვენესუელა-ბრაზილია | 7,0 | 3,6 | 1,45 | 2,37 | 1,2 | 1,03 |
| | | **10 ოქტომბერი** | | | | | | |
| 01.05 | 054 | ეკვადორი-ჩილე | 2,05 | 3,1 | 3,4 | 1,23 | 1,27 | 1,62 |
| | | **მჩ. შესარჩევი მატჩები** | | | | | | |
| | | **9 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.00 | 027 | ფინეთი-სომხეთი | 1,2 | 5,3 | 11,0 | 1 | 1,08 | 3,57 |
| 18.00 | 028 | შოტლანდია-ნორვეგია | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| 18.00 | 029 | ინგლისი-უელსი | 1,3 | 4,4 | 9,0 | 1 | 1,13 | 2,95 |
| 19.00 | 030 | შვედეთი-უნგრეთი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 19.00 | 031 | ჩეხეთი-რუმინეთი | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| 19.00 | 032 | ლუქსემბურგი-რუსეთი | 25,0 | 7,0 | 1,05 | 5,46 | 1 | 1 |
| 19.00 | 033 | ბელარუსი-მოლდოვა | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 19.30 | 034 | სლოვაკეთი-ლატვია | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 20.00 | 035 | კვიპროსი-ფარერები | 1,3 | 4,2 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,75 |
| 20.00 | 036 | მალტა-ისლანდია | 8,0 | 4,2 | 1,4 | 2,75 | 1,19 | 1,04 |
| 20.15 | 037 | უკრაინა-საბერძნეთი | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| 20.30 | 038 | აზერბაიჯანი-ჩრდ.ირლანდია | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| 21.00 | 039 | ისრაელი-შვეიცარია | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| 21.00 | 040 | ალბანეთი-დანია | 4,0 | 3,3 | 1,8 | 1,8 | 1,24 | 1,16 |
| 21.00 | 041 | თურქეთი-ყაზახეთი | 1,07 | 7,0 | 17,0 | 1 | 1 | 4,95 |
| 21.15 | 042 | ლიხტენშტაინი-პორტუგალია | 40,0 | 10,0 | 1,01 | 8 | 1 | 1 |
| 22.00 | 043 | არგენტინა-ურუგვაი | 1,35 | 4,0 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,66 |
| 22.15 | 044 | ხორვატია-ბულგარეთი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 22.15 | 045 | ბოსნია-სერბია | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 22.30 | 046 | ავსტრია-პოლონეთი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 22.30 | 047 | მაკედონია-ჰოლანდია | 8,0 | 4,6 | 1,3 | 2,92 | 1,11 | 1,01 |
| 23.00 | 048 | საფრანგეთი-ირლანდია | 1,4 | 3,8 | 7,5 | 1,02 | 1,17 | 2,52 |
| 23.00 | 049 | სლოვენია-იტალია | 4,0 | 3,2 | 1,85 | 1,77 | 1,26 | 1,17 |
| 23.45 | 050 | ესპანეთი-ბელგია | 1,4 | 3,8 | 7,5 | 1,02 | 1,17 | 2,52 |
| 24.00 | 051 | ბოლივია-პერუ | 2,05 | 3,1 | 3,4 | 1,23 | 1,27 | 1,62 |
| 02.10 | 052 | კოლუმბია-პარაგვაი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 05.00 | 053 | ვენესუელა-ბრაზილია | 7,0 | 3,6 | 1,45 | 2,37 | 1,2 | 1,03 |
| | | **10 ოქტომბერი** | | | | | | |
| 01.05 | 054 | ეკვადორი-ჩილე | 2,05 | 3,1 | 3,4 | 1,23 | 1,27 | 1,62 |
| | | **შვეიცარია. ჩელენჯლიგა** | | | | | | |
| | | **8 ოქტომბერი** | | | | | | |
| 302 | 21:30 | ბადენი-ვინტერთური | 2.8 | 3.2 | 2.2 | 1.49 | 1.23 | 1.3 |
| | | **9 ოქტომბერი** | | | | | | |
| 303 | 18:30 | ვილი-იუვენტუსი | 1.65 | 3.3 | 4.7 | 1.1 | 1.22 | 1.93 |
| 304 | 19:30 | ვოლენი-შო დე ფონი | 1.65 | 3.2 | 4.6 | 1.08 | 1.21 | 1.88 |
| 305 | 21:30 | ბულე-მეირინი | 2.45 | 3.2 | 2.5 | 1.38 | 1.23 | 1.4 |
| 306 | 21:30 | ლუცერნი-ივერდონი | 2.2 | 3.1 | 2.9 | 1.28 | 1.25 | 1.49 |
| 307 | 21:30 | ბელინცონა-კრინსი | 1.8 | 3.2 | 3.8 | 1.15 | 1.22 | 1.73 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **10 ოქტომბერი** | | | | | | |
| 308 | 16:30 | კონკორდია-ლუგანო | 2.5 | 3.1 | 2.5 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| 309 | 16:30 | ბოლმი-კიასო | 2.9 | 3.2 | 2.1 | 1.52 | 1.21 | 1.26 |
| | | **ჰოლანდია. მეორე დივიზიონი** | | | | | | |
| | | **8 ოქტომბერი** | | | | | | |
| 320 | 22:00 | კამბური-ვენლო | 3.0 | 3.4 | 2.0 | 1.59 | 1.2 | 1.25 |
| 321 | 22:00 | ემენი-აპელდორნი | 2.0 | 3.4 | 3.0 | 1.25 | 1.2 | 1.59 |
| 323 | 22:00 | ჰელმონდი-იგლსი | 1.95 | 3.4 | 3.2 | 1.23 | 1.21 | 1.64 |
| 324 | 22:00 | მაასტრიხტი-ეინდჰოვენი | 2.0 | 3.4 | 3.0 | 1.25 | 1.2 | 1.59 |
| 325 | 22:00 | ოსი-სპარტა | 2.6 | 3.2 | 2.4 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 326 | 22:00 | ვოლენდამი-ვეენდამი | 1.45 | 4.0 | 5.5 | 1.06 | 1.14 | 2.31 |
| 327 | 22:00 | ზვოლე-დორდრეხტი | 1.75 | 3.5 | 3.7 | 1.16 | 1.18 | 1.79 |
| | | **10 ოქტომბერი** | | | | | | |
| 328 | 16:30 | ჰაარლემი-ტელსტარი | 1.45 | 4.3 | 5.2 | 1.08 | 1.13 | 2.35 |
| | | **ნორვეგია.1 დივიზიონი** | | | | | | |
| | | **10 ოქტომბერი** | | | | | | |
| 337 | 17:00 | ალესუნდი-სტარტი | 2.15 | 3.7 | 2.5 | 1.35 | 1.15 | 1.49 |
| 338 | 17:00 | ჰაუგესუნდი-ბრინი | 2.3 | 3.8 | 2.3 | 1.43 | 1.14 | 1.43 |
| 339 | 17:00 | კონგსვინგერი-ჰიონეფოსი | 1.6 | 4.1 | 4.0 | 1.15 | 1.14 | 2.02 |
| 340 | 17:00 | მანდალი-ტრომსდალენი | 1.3 | 5.0 | 7.0 | 1.03 | 1.09 | 2.91 |
| 341 | 17:00 | მოსი-ჰიოდი | 2.1 | 3.5 | 2.7 | 1.31 | 1.18 | 1.52 |
| 342 | 17:00 | პორს გრენლანდი-რაუფოსი | 2.0 | 3.8 | 2.6 | 1.31 | 1.13 | 1.54 |
| 343 | 17:00 | სკეიდი-სანდეფიორდი | 2.65 | 3.9 | 2.05 | 1.57 | 1.15 | 1.34 |
| 344 | 17:00 | სტრიომსგოდ.-ვარდ ჰაუგესუნ | 1.55 | 4.0 | 4.2 | 1.11 | 1.13 | 2.04 |
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **10 ოქტომბერი** | | | | | | |
| 331 | 22:45 | ბეირა მარი-მარიტიმუ | 2.3 | 3.2 | 2.8 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| | | **დანია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **9 ოქტომბერი** | | | | | | |
| 335 | 17:00 | ბრიონსჰიოი-სკიოლდი | 2.2 | 3.2 | 2.8 | 1.3 | 1.23 | 1.49 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **7 ოქტომბერი** | | | | | | |
| 357 | 22:45 | დუბლინი-უოტერფორდი | 2.7 | 3.0 | 2.4 | 1.42 | 1.27 | 1.33 |
| | | **8 ოქტომბერი** | | | | | | |
| 358 | 22:00 | შემროკი-დერი | 2.1 | 3.1 | 3.1 | 1.25 | 1.25 | 1.54 |
| 359 | 22:45 | ბოჰემიანი-სტ.პატრიკსი | 1.7 | 3.4 | 4.2 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| 360 | 22:45 | კორკი-ლონგფორდი | 1.9 | 3.2 | 3.5 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 361 | 22:45 | დროგედა-შელბურნი | 2.6 | 3.0 | 2.5 | 1.39 | 1.27 | 1.36 |
| | | **აშშ** | | | | | | |
| | | **9 ოქტომბერი** | | | | | | |
| 363 | 23:45 | ნიუ იორკი-კოლუმბუსი | 2.25 | 3.1 | 2.8 | 1.3 | 1.24 | 1.47 |
| 364 | 23:45 | ვაშინგტონი-ნიუ ინგლენდი | 1.85 | 3.2 | 3.7 | 1.17 | 1.23 | 1.71 |
| 365 | 23:45 | ლოს ანჯელესი-დალასი | 1.9 | 3.2 | 3.5 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 366 | 23:45 | სან ხოსე-კანზასი | 2.4 | 3.1 | 2.6 | 1.35 | 1.24 | 1.41 |
| | | **ბრაზილია** | | | | | | |
| | | **7 ოქტომბერი** | | | | | | |
| 381 | 23:45 | პაისანდუ-ფლამენგო | 1.75 | 3.2 | 4.0 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| 384 | 23:45 | ბოტაფოგო-სან კაეტანო | 2.45 | 3.0 | 2.55 | 1.34 | 1.24 | 1.37 |
| 385 | 23:45 | პალმეირასი-პარანა | 1.45 | 3.5 | 6.2 | 1.02 | 1.17 | 2.23 |
| 386 | 23:45 | ჟუვენტუდი-ატლეტიკო პრ | 2.35 | 3.1 | 2.65 | 1.33 | 1.24 | 1.42 |
| 387 | 23:45 | ატლეტიკო მნ-გუარანი | 1.75 | 3.2 | 3.8 | 1.13 | 1.19 | 1.73 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **9 ოქტომბერი** | | | | | | |
| 435 | 20:00 | ირანი-გერმანია | 5.5 | 3.5 | 1.55 | 2.13 | 1.2 | 1.07 |
| | | **ეჩ.შესარჩევი მატჩები(21)** | | | | | | |
| | | **8 ოქტომბერი** | | | | | | |
| 452 | 14:00 | ჩეხეთი-რუმინეთი | 1.45 | 3.8 | 5.4 | 1.04 | 1.14 | 2.23 |
| 453 | 14:00 | ინგლისი-უელსი | 1.25 | 5.0 | 7.5 | 1.0 | 1.07 | 3.0 |

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 454 | 14:00 საფრანგეთი-ირლანდია | 1.35 | 4.1 | 6.8 | 1.01 | 1.12 | 2.55 |
| 455 | 14:00 მაკედონია-ჰოლანდია | 4.1 | 3.6 | 1.65 | 1.91 | 1.17 | 1.13 |
| 456 | 14:00 ისრაელი-შვეიცარია | 2.5 | 3.1 | 2.45 | 1.38 | 1.23 | 1.36 |
| 457 | 14:00 ლუქსემბურგი-რუსეთი | 15.0 | 6.7 | 1.1 | 4.63 | 1.02 | 1.0 |
| 458 | 14:00 მალტა-ისლანდია | 4.7 | 3.6 | 1.55 | 2.03 | 1.16 | 1.08 |
| 459 | 14:00 შოტლანდია-ნორვეგია | 2.2 | 3.1 | 2.8 | 1.28 | 1.23 | 1.47 |
| 460 | 14:00 სლოვაკეთი-ლატვია | 1.6 | 3.4 | 4.8 | 1.08 | 1.2 | 1.99 |
| 461 | 14:00 ესპანეთი-ბელგია | 1.35 | 4.1 | 6.8 | 1.01 | 1.12 | 2.55 |
| 462 | 14:00 შვედეთი-უნგრეთი | 1.55 | 3.5 | 5.0 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 463 | 14:00 თურქეთი-ყაზახეთი | 1.1 | 6.7 | 15.0 | 1.0 | 1.02 | 4.63 |
| 464 | 14:00 უკრაინა-საბერძნეთი | 2.0 | 3.1 | 3.2 | 1.21 | 1.23 | 1.57 |
| 465 | 14:00 ალბანეთი-დანია | 3.5 | 3.1 | 1.9 | 1.64 | 1.23 | 1.17 |
| 466 | 14:00 ავსტრია-პოლონეთი | 2.1 | 3.2 | 2.9 | 1.26 | 1.21 | 1.52 |
| 467 | 14:00 აზერბაიჯანი-გერმანია | 8.0 | 5.0 | 1.25 | 3.07 | 1.08 | 1.0 |
| 468 | 14:00 ბელარუსი-მოლდოვა | 1.35 | 4.2 | 6.8 | 1.02 | 1.12 | 2.59 |
| 469 | 14:00 ბოსნია-სერბეთი | 3.2 | 3.2 | 2.0 | 1.6 | 1.23 | 1.23 |
| 470 | 14:00 სლოვენია-იტალია | 3.0 | 3.1 | 2.1 | 1.52 | 1.23 | 1.25 |
| 471 | 14:00 ხორვატია-ბულგარეთი | 1.55 | 3.5 | 4.7 | 1.07 | 1.16 | 2.0 |
| 472 | 14:00 ფინეთი-სომხეთი | 1.25 | 5.0 | 8.0 | 1.0 | 1.08 | 3.07 |
| | **7 ოქტომბერი** | | | | | | |
| 807 | 19:30 ესპოო-ჰელსინკი | 2.3 | 4.4 | 2.2 | 1.51 | 1.12 | 1.46 |
| 808 | 19:30 ჰაამეენლინა-ესეტი | 1.5 | 4.4 | 4.5 | 1.11 | 1.12 | 2.22 |
| 809 | 19:30 ილვესი-იუვესკიულე | 1.9 | 4.4 | 2.75 | 1.32 | 1.12 | 1.69 |
| 810 | 19:30 ტურკუ-სეიპა | 1.45 | 4.4 | 4.85 | 1.09 | 1.11 | 2.3 |
| 811 | 19;30 კერპეტი-ჰელიკანსი | 1.2 | 4.4 | 10.0 | 1.0 | 1.07 | 3.05 |
| | **ჰოკეი. სლოვაკეთი** | | | | | | |
| | **8 ოქტომბერი** | | | | | | |
| 819 | 19:00 კოშიცე-მიკულაში | 1.25 | 4.8 | 6.5 | 1.0 | 1.04 | 2.76 |
| 820 | 19:00 პოპრადი-ჟილინა | 2.1 | 4.0 | 2.4 | 1.37 | 1.12 | 1.5 |
| 821 | 19:00 სკალიცა-დუბნიცა | 1.25 | 4.8 | 6.5 | 1.0 | 1.04 | 2.76 |
| 822 | 19:00 სლოვანი-ზვოლენი | 2.0 | 4.0 | 2.5 | 1.33 | 1.11 | 1.53 |
| 823 | 19:00 ტრენჩინი-ნიტრა | 1.15 | 6.5 | 7.0 | 1.0 | 1.0 | 3.37 |
| | **ჰოკეი.რუსეთი** | | | | | | |
| | **7 ოქტომბერი** | | | | | | |
| 942 | 15:30 ავანგარდი-მოლოტი | 1.25 | 6.2 | 6.2 | 1.04 | 1.04 | 3.09 |
| 943 | 16:30 ს.იულაევი-ნოვოკუზნეცკი | 2.25 | 4.4 | 2.2 | 1.48 | 1.11 | 1.46 |
| 944 | 16:30 მაგნიტოგორსკი-აკ ბარსი | 1.9 | 4.4 | 2.6 | 1.32 | 1.09 | 1.63 |

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 945 | 17:00 ლადა-სიბირი | 1.35 | 5.0 | 4.8 | 1.06 | 1.05 | 2.44 |
| 946 | 18:30 ხიმიკი-ცსკა | 2.3 | 4.4 | 2.1 | 1.51 | 1.09 | 1.42 |
| 947 | 19:00 დინამო-ნეფტეხიმიკი | 1.45 | 4.6 | 4.6 | 1.1 | 1.1 | 2.29 |
| | **8 ოქტომბერი** | | | | | | |
| 948 | 18:30 სევერსტალი-აკ | 1.35 | 5.0 | 4.8 | 1.06 | 1.05 | 2.44 |
| 949 | 19:00 ლოკომოტივი-სპარტაკი | 1.35 | 5.0 | 4.8 | 1.06 | 1.05 | 2.44 |
| | **კალათბურთი.იტალია** | | | | | | |
| | **7 ოქტომბერი** | | | | | | |
| 849 | 22:30 მილანი-აველინო | 1.05 | 12 | 4.7 | 1.0 | 1.0 | 3.37 |
| 850 | 22:30 ვარეზე-კალაბრია | 1.2 | 12 | 3.2 | 1.09 | 1.0 | 2.52 |
| 851 | 22:30 უდინე-ბიპოპი | 1.5 | 12 | 2.2 | 1.33 | 1.0 | 1.85 |
| 852 | 22:30 სიენა-ტერამო | 1.05 | 12 | 4.7 | 1.0 | 1.0 | 3.37 |
| 853 | 22:30 ნაპოლი-ავრორა | 1.15 | 12 | 3.7 | 1.04 | 1.0 | 1.82 |
| 854 | 22:30 როზეტო-კანტუ | 1.92 | 12 | 1.65 | 1.67 | 1.0 | 1.45 |
| 855 | 22:30 ბიელა-ბენეტონი | 1.95 | 12 | 1.75 | 1.67 | 1.0 | 1.52 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS

ტელკრედიტი
TELCREDITI

10
42 00 24
+%

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5028 | შოტლანდია-ნორვეგია | 3,1 | 2,0 | 2,2 | 1,21 | 1,28 | 1,04 |
| 5029 | ინგლისი-უელსი | 1,55 | 2,7 | 7,5 | 1 | 1,28 | 1,98 |
| 5030 | შვედეთი-უნგრეთი | 1,8 | 2,3 | 5,6 | 1 | 1,36 | 1,63 |
| 5031 | ჩეხეთი-რუმინეთი | 1,95 | 2,15 | 5,3 | 1,02 | 1,42 | 1,52 |
| 5037 | უკრაინა-საბერძნეთი | 2,6 | 2,05 | 3,6 | 1,14 | 1,5 | 1,3 |
| 5043 | არგენტინა-ურუგვაი | 1,65 | 2,45 | 7,0 | 1 | 1,33 | 1,81 |
| 5044 | ხორვატია-ბულგარეთი | 2,1 | 2,15 | 5,0 | 1,06 | 1,47 | 1,5 |
| 5046 | ავსტრია-პოლონეთი | 2,6 | 2,05 | 3,6 | 1,14 | 1,5 | 1,3 |
| 5047 | მაკედონია-ჰოლანდია | 7,5 | 2,7 | 1,55 | 1,98 | 1,28 | 1 |
| 5048 | საფრანგეთი-ირლანდია | 1,7 | 2,45 | 6,5 | 1 | 1,34 | 1,77 |
| 5049 | სლოვენია-იტალია | 4,6 | 2,1 | 2,25 | 1,44 | 1,51 | 1,08 |
| 5050 | ესპანეთი-ბელგია | 1,7 | 2,45 | 6,5 | 1 | 1,34 | 1,77 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5528 | შოტლანდია-ნორვეგია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5529 | ინგლისი-უელსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5530 | შვედეთი-უნგრეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5531 | ჩეხეთი-რუმინეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5537 | უკრაინა-საბერძნეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5543 | არგენტინა-ურუგვაი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5544 | ხორვატია-ბულგარეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5546 | ავსტრია-პოლონეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5547 | მაკედონია-ჰოლანდია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5548 | საფრანგეთი-ირლანდია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5549 | სლოვენია-იტალია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5550 | ესპანეთი-ბელგია | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5428 | შოტლანდია-ნორვეგია | 1,9 | 1,9 |
| 5429 | ინგლისი-უელსი | 1,2 | 4,0 |
| 5430 | შვედეთი-უნგრეთი | 1,35 | 3,2 |
| 5431 | ჩეხეთი-რუმინეთი | 1,45 | 2,8 |
| 5437 | უკრაინა-საბერძნეთი | 1,8 | 2,0 |
| 5443 | არგენტინა-ურუგვაი | 1,3 | 3,4 |
| 5444 | ხორვატია-ბულგარეთი | 1,55 | 2,5 |
| 5446 | ავსტრია-პოლონეთი | 1,8 | 2,0 |
| 5447 | მაკედონია-ჰოლანდია | 3,7 | 1,25 |
| 5448 | საფრანგეთი-ირლანდია | 1,3 | 3,4 |
| 5449 | სლოვენია-იტალია | 2,3 | 1,65 |
| 5450 | ესპანეთი-ბელგია | 1,3 | 3,4 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5128 | შოტლანდია-ნორვეგია | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5129 | ინგლისი-უელსი | 1,6 | 15,0 | 40,0 | 3,5 | 5,6 | 17,0 | 25,0 | 17,0 | 17,0 |
| 5130 | შვედეთი-უნგრეთი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,8 | 12,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 5131 | ჩეხეთი-რუმინეთი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5137 | უკრაინა-საბერძნეთი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5143 | არგენტინა-ურუგვაი | 1,7 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,8 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5144 | ხორვატია-ბულგარეთი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5146 | ავსტრია-პოლონეთი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5147 | მაკედონია-ჰოლანდია | 12,0 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 5,3 | 3,5 | 25,0 | 12,0 | 1,6 |
| 5148 | საფრანგეთი-ირლანდია | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,6 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5149 | სლოვენია-იტალია | 6,0 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,7 |
| 5150 | ესპანეთი-ბელგია | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,6 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |

# ცინცაძემ კურილჩუკი იპოვა და უილიამსისთვის ემზადება

*რუსული სუპერლიგა „ქართული დერბით“ გაიხსნება — შაბათს გიორგი ცინცაძის „სამარა“ გაქართველებული შემონდ უილიამსის „უნიკსს“ შეხვდება. მანამდე კი საქართველოს ნაკრების ორივე წევრი უკანასკნელ სამზადისშია. ცინცაძის გუნდმა სამარაში მიმდინარე ოთხთა ტურნირი მოიგო და ქართველი გამთამაშებელიც დებიუტით უკმაყოფილი არ დარჩენილა. სამარელებმა ფინალში სუპერლიგის „ლოკომოტივი“ დაამარცხეს და სწორედ ეს მატჩი გამოდგა ცინცაძისთვის საუკეთესო...*

— არ მახსოვს, რომელილაც გარდაცვლილი კალათბურთელის ხსოვნის ტურნირი გაიმართა სამარში და ჩემი დებიუტიც აქ შედგა. მონაწილენი არ იყვნენ ძლიერები — „სამარას“ დუბლები და მაგნიტოგორსკის გუნდი, თუმც ნოვოსიბირსკის „ლოკომოტივს“ არაფერი დაეწუნება, ეს გუნდი სუპერლიგაში თამაშობს.

— სამივე შეხვედრაში ითამაშე?

— კი, მაგრამ მეორე მატჩის გახსენებაც არ მინდა, ჩვენი გუნდის დუბლებთან არაფერი გამომივიდა.

— საერთო ჯამში თუ ხარ კმაყოფილი?

— არა უშავდა, თუმც უკეთესადაც შემეძლო თამაში. დებიუტი „მაგნიტოგორსკთან“ მქონდა და 4 ქულა გავაკეთე. ტურნირის უძლიერეს გუნდთან კი ყველაზე უკეთ ვითამაშე — „ლოკომოტივს“ ფინალში 8 ქულა ჩავუგდე.

— პაველ გოოგე თუ დარჩა შენი თამაშით კმაყოფილი?

— კონკრეტულად ამ თამაშებზე არაფერი უთქვამს, უფრო ხშირად მომავალ მატჩებზე მელაპარაკება — ჩემპიონატში ძალიან მძიმე შეხვედრები იქნება და მოემზადეო.

— ესე იგი, უეჭველად გათამაშებს ძირითადში...

— ხუთეულში არ მათამაშებს და ისე, ალბათ 15 წუთით შემიყვანს მოედანზე. ასე იქნება თავიდან და გააჩნია, მერე როგორ ვითამაშებ. თუ თავს გამოვიჩენ, გოოგე არაა ის კაცი, ჯიბრში ჩამიდგეს.

— შენი კონკურენტი ვინ არის „სამარაში“?

— ერთი უბრალო მოთამაშეა, დიდი არაფერი, თავისუფლად შემიძლია მისი კონკურენციის დაძლევა. მისი უპირატესობა ისაა, რომ აქაურია და ბევრი ქომაგი ჰყავს. თუ თამაშში ვაჯობებ, გოოგე არავის და არაფერს შეხედავს, ისე დამაყენებს მის ნაცვლად.

— „სამარაში“ ვინ არის ცნობილი მოთამაშე?

— ალბათ არც არავინ, გარდა ერთისა: ვიქტორ კურილჩუკი ადრე „აზოტში“ თამაშობდა და ქართველი ქომაგი მას კარგად იცნობს. მაშინ მე ბავშვი ვიყავი და მის წინააღმდეგ არ მითამაშია.

— რუსეთის ჩემპიონატი როდის იწყება?

— ცხრა ოქტომბერს „უნიკსს“ ვხვდებით. ალბათ მომიწევს მოედანზე გასვლა და მეც მთელი ძალით ვემზადები, „უნიკსში“ ხომ შემონდ უილიამსი თამაშობს.

**ირაკლი პერტაია**





შემონდ უილიამსი და გიორგი ცინცაძე მალე დაუპირისპირდებიან ერთმანეთს



# ავიატორთა სევდა
# სადა ხარ, ჩემო დინამო?

მოდით, ასეთი რიტორიკული შეკითხვა დავსვათ: სადაა თბილისის „დინამო“? პასუხი ერთმნიშვნელოვანია: დიღმის ბაზაზე. კი, ბატონო, დიღმის ბაზაზე ვარჯიშობს გუნდი ხორვატი მწვრთნელითა და დაუღვინებელი ბიჭებით, მაგრამ ამავდროულად სპორტის სასახლეშიც ემზადება გუნდი, რომელსაც ის ხალხი წვრთნის, რომლებსაც ათწლეულები უმუშავიათ თბილისის „დინამოში“ და ახლა სულ სხვა კლუბის სახელით კრებენ ძველ დინამოელებს.

„თბილავიამშენზე“ მოგახსენებთ, ლევან მოსეშვილის თაოსნობით, ერთ თვეში შეკრებილ გუნდზე, რომელიც დღითი-დღე ძლიერდება და ალბათ ჩემპიონობაზეც გაიწევს.

ავიატორებმა გუშინ კიდევ ექვს მოთამაშეს გაუფორმეს კონტრაქტი და ამ სიახლის გამო სპორტის სასახლეში რომ მივედით, დასაწყისში დასმული კითხვაც სწორედ მაშინ გაგვახსენდა. აი, ძამიკო, „დინამო“ — სასტვენმომარჯვებული ლევან მოსეშვილი და მის გარშემო „დინამოს“ სპორტულ სამოსში გამოწყობილი მწვრთნელები — ვაჟა მხეიძე, ვახტანგ მოსეშვილი და ავიატორთა გუნდის უფროსი ლევან ჩალისური. ამ ხალხს ასე, წლინახევრის წინ დიღმის ბაზაზე ედო ბინა, კალათბურთით ცხოვრობდნენ და „დინამო“, ავად თუ კარგად, ჩემპიონობისკენ მიჰყავდათ. მერე ხორვატი დრაჟენ ბრაიკოვიჩი გამოჩნდა, რომელმაც მოსეშვილის გამოძერწილი გუნდი ჩაიბარა და გააჩემპიონა. მწვრთნელიც ეს ყოფილაო და, მთელი ძალაუფლება ხორვატს ჩააბარეს, ზემოთ ნახსენები ხალხი კი „დინამოდან“ დაითხოვეს.

მერე აღმოჩნდა, რომ ბრაიკოვიჩი ვერ ყოფილა ისე ყოჩაღი, როგორც ჩანდა, რაკი მოსეშვილის აშენებული გუნდი დაშალა, ერთი შეხედვით უფრო ძლიერი მოთამაშეები შემოიკრიბა, მაგრამ ჩემპიონობა ვერ შეინარჩუნა. ხორვატის კრახს ლევან მოსეშვილმა ალბათ ტელევიზიით უყურა, რაკი მას შემდეგ, რაც ის „დინამოს“ ჩამოაცილეს, ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე არ დადიოდა. მოსეშვილი წელიწადნახევარი ჩრდილში იყო და თვენახევარი იქნება, საკალათბურთო ფერხულს დაუბრუნდა. თუმც ის ქართულ კალათბურთში დაბერებული კაცია და სხვებს დიდი ამბავი რომ სჭირდებათ თუნდაც ერთი ხეირიანი მოთამაშის დასაყოლიებლად, მოსეშვილმა სულ რჩეული ხალხით უმალ შეკრიბა გუნდი. იტყვიან, ფული ჰქონდა და იმიტომაც შეკრიბაო, მაგრამ ფულის მომცემსაც პოვნა უნდა და საავიაციო ქარხნის შეფი პანტიკო თორდია ისევ კალათბურთს რომ მოუბრუნდა, მოსეშვილის დამსახურებაა.

...იმას ვამბობდით, „ავიამშენის“ მწვრთნელებს „დინამოს“ სამოსი ეცვათო. ეს იყო ძველი, მოსეშვილის დროინდელი „დინამოს“ სამოსი და ამ ხალხს თვალებში ეტყობოდათ დიღმის ბაზიდან წამოყოლილი სევდა. „დინამო“ ხომ მათი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ყოველთვის და ახლა, როცა ხორვატის ხელში ეს გუნდი სულს ღაფავს, ამ ხალხს ქალაქის მეორე ბოლოში ახალი გუნდი დაუარსებია და ძველდინამოური ჟინით, ცოდნითა და გამოცდილებით ავარჯიშებს.

მოედანს გახედავ და ვინ გინდა, გამოარჩიო, „დინამოში“ რომ არ უთამაშია. უთამაშია კი არა, კახა შენგელიაზე, ამროსი ორმოცაძეზე, ირაკლი ხოშტარიაზე, დავით თორთლაძეზე, გიორგი ნიკოლაძეზე, თორნიკე ნინიაშვილზე „დინამოსა“ და პირადად ლევან მოსეშვილის დიდი ამაგი აქვს.

ყოველივე ამის შემდეგ ძალაუნებურად დაფიქრდები: ესაა ნამდვილი „დინამო“ თუ ის, დიღმის ბაზაზე რომ ვარჯიშობს?

**ირაკლი პერტაია**


## ქართული სპორტის ფოტოისტორია

ასე ჰქვია საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ახალ პროექტს, რომელიც ხორციელდება თბილისის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახურის მხარდაჭერით.

შეირჩევა, დამუშავდება, აღიწერება და ვებსაიტზე განთავსდება 5 ათასზე მეტი ისტორიული და მხატვრული ღირებულების ფოტო.

სათანამშრომლოდ ვიწვევთ ფოტორეპორტიორებს, კერძო კოლექციის მფლობელებს, ძველი და ახალი თაობის სპორტსმენებს, მწვრთნელებს, სპორტის გულშემატკივრებს.

გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენს ხელთ არსებული ფოტომასალა და მონაწილეობა მიიღოთ ქართული სპორტის ასწლოვანი ისტორიის ფოტოარქივის შექმნაში.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია.
თბილისი, რუსთაველის 42, ტელეფონები: 99 08 22, 99 94 09, 899 90 26 32.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტაც და ნბა რეგულარულ სეზონს დაიწყებს. ამ სამშაბათს კი ასოციაციის 30-ივე კლუბმა საწვრთნელი ბანაკები დასცა და ტელე-მედიისთვის პრესკონფერენცია-პრეზენტაციები მოეწყო. გუნდები მთელი ზაფხული უქმობდნენ, თუმცა არა მათი შეფები. ისინი ასი დღე ელაპარაკნენ კონტრაქტით უკმაყოფილო მოთამაშეებს და, რაც უფრო საშინელია, მათ აგენტ-მენეჯერებს, ამ შემოდგომამდე როგორღაც დააკომპლექტეს გუნდები და ახლა ანგარიშის ნებაყოფილებით და სიამოვნებით ჩაბარების დროც დადგა.

# მეტი ინდივიდუალიზმი, ბიჭებო ამერიკას ეს მოსწონს







რეჯი მილერი ხუთეულში ადგილს ცოცხალი თავით არ თმობს, რონ არტესტმა კი ჯორდანისეული 23 ნომერი როდმანის 91-ზე გაცვალა

## რეჯის ხელი არ ახლოთ

წინა რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო გუნდ „ინდიანა პეისერზს“ „კონსეკო ფილდჰაუზში“ რომ მიადგნენ, იქ 18-ედ დახვდათ რეჯი მილერი. „ინდიანაში“ დაბერებული რეჯი სწორედ მე-18 სეზონს ხვდება ამ გუნდში და ადრე თუ გვიან წასვლაზეც მოუწევს ფიქრი. ეს რომ ჰკითხეს, მილერმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა. ეს კი თქვა, კარიერას „ინდიანაშივე“ დავამთავრებო, მხოლოდ ნუ მკითხავთ, როდისო.

„კონტრაქტით კიდევ ორი წელი უნდა ვითამაშო, მაგრამ როგორ განვითარდება მოვლენები, ამას ვერ გეტყვით. შევხედავ, რამდენად შემიწყობს ხელს სხეული და ჯანმრთელობა. ამ სეზონისთვის მზად ვარ. რაც შეეხება მომავალ წელს...“

ყველგან ასეა და „ინდიანაშიც“ წლების განმავლობაში მოთამაშეები მიდიოდნენ და მოდიოდნენ. ოქროსხელება რეჯი კი სულ იქაა და მზადაა, ნებისმიერ მომენტში გაისროლოს სამქულიანი ბომბი მეტოქის კალათისკენ. მაგრამ ადრე თუ გვიან მისი შეცვლის დროც დადგება.

ახლა გუნდმა „ატლანტა ჰოქსიდან“ ახალგაზრდა მოიერიშე მსროლელი სტივენ ჯეკსონი გადმოიყვანა და რეჯის თავისთავად მოუწევს ამ ჯეელისთვის სათამაშო წუთების გაზიარება. ჯეკსონი „ატლანტას“ საუკეთესო მექულე გახლდათ, მილერს კი კარიერაში ყველაზე მწირქულიანი სეზონი ჰქონდა — აკი მოგახსენეთ დაბერდამეთქი. ჰოდა, ვინ იცის, ამ ჯეკსონმა კლუბის ყველა დროის საუკეთესო მოთამაშე დამწყები ხუთეულიდანაც ამოაგდოს.

მილერს კი ამის გაფიქრებაც არ უნდა — „მე ყოველთვის სასტარტო ხუთეულში ვთამაშობდი. მე მიყვარს მოგება და მინდა მოგება. წინა სეზონში, როცა 38 წლის ვიყავი, ჩვენ 61 თამაში მოვიგეთ რეგულარულ სეზონში და არავის უთქვამს რამე ჩემი ასაკის გამო. არა მგონია, ამ ოთხ თვეში ბევრად დავჩაჩანაკდი.“

თავად ჯეკსონიც, რომელიც ახლო მომავალში, შესაძლოა, ოლ სტარის დონის მოთამაშედ იქცეს, დელიკატურად ეხება ამ თემას — „მე მოხარული ვარ, რომ რეჯი მილერის გვერდით ვითამაშებ, არა აქვს მნიშვნელობა დამწყებად თუ სათადარიგოდ. გული არაფერზე დამწყდება.“

## ინდიანაში ჩიკაგოს რა უნდა?

„ინდიანას“ ერთ-ერთმა ლიდერმა, შარშან ნბა-ში საუკეთესო დამცველად დასახელებულმა, ოლ სტარშიც ნათამაშებმა და მოკლედ უკვე სახელიანმა მოთამაშემ რონ არტესტმა ზურგზე და გულზე 91 ნომერი დაიწერა. იშვიათი ნომერია და რომ დაეკითხნენ, რაღა მაინცდამაინც 91-იო, უპასუხა დენის როდმანის ნომერიაო. თურმე მთელი ინდიანა 90-იანი წლების დიდი „ჩიკაგო ბულზის“ მოთამაშეთა ნომრებს ატარებს. მაგალითად, ჯეიმს ჯონსს 33 ნომერი სკოტი პიპენის პატივსაცემად აურჩევია; ჯეფ ფოსტერს ბავშვობაში ბიჯეი არმსტრონგი ჰყვარებია და 10-ნომრიან მაისურასაც ატარებს. ხოლო „პეისერზის“ ლიდერი ჯერმენ ონილი, რომელიც წელს ან მომავალ წელს იქნებ ნბა-ს საუკეთესო მოთამაშე გახდეს, ტონი კუკოჩისადმი სიმპათიით 7-ნომრიანი მაისურით არბევს მეტოქეებს.

ნუ გაიფიქრებთ, რომ ინდიანელებს ჯორდანი გამორჩათ. 23 ნომერსაც ჰყავდა პატრონი და იგი... რონ არტესტი გახლდათ. მერე ეტყობა, მობეზრდა და ჯორდანი როდმანზე გაცვალა. ისე, არტესტს თავადაც უთამაშია „ჩიკაგოში“, მხოლოდ 1999 წლიდან, როცა დიდი გუნდი დაშლილი და გაპარტახებული იყო. ორი წელი იქ იყო, ბოლო ოთხი კი „ინდიანაშია“ და სამჯერ გამოიცვალა ნომერი. 91 რომ მოგწყინდება რომელს დაიწერო, ესეც ჰკითხეს. „ჯერ არ ვიცი — უპასუხა არტესტმა — მაგრამ აქედანვე გეტყვით, არ ავირჩევ ბილ პენინგტონის, ბილ კარტრაიტის, ლუკ ლონგლის და ვილ პერდიუს ნომრებს.“ ეტყობა ცენტრები არ ჰყვარებია.

საინტერესოა, რას ფიქრობს თავისი მოთამაშეების ამ ქარაფშუტობაზე „ინდიანას“ პრეზიდენტი ლარი ბერდი. ლარი დიდი კაცია, არაფერს ამბობს, ჩანს გაგებით ხვდება ამ ამბავს. ეს ბიჭები ხომ 22-26 წლისანი არიან და 90-იანების „ჩიკაგოს“ ყურებაში გაიზარდნენ, ხოლო 80-იანების ლეგენდარული „ბოსტონი“ და მისი ლიდერი ლარი ბერდი, რა გასაკვირია და, ასე კარგად არ ახსოვთ.

მაგრამ „ინდიანას“ ხომ ჩემპიონობა უნდა? სხვისი ნომრებით კი ნბა-ს პლეი ოფის მოგება დიდ პატივისცემას ვერ დაიმსახურებს იმ ქვეყანაში, სადაც სიყვარულობაზე და გაგებაზე მეტად ინდივიდუალიზმი და პროფესიონალიზმი ფასობს.

**კოტე ყორშია**



## ორლანდოს ჰილი მოელანდა

**„ორლანდო მეჯიქმა“** ჩრდილოეთ ფლორიდას უნივერსიტეტის დარბაზში და კარგი მომავლის მოლოდინში დასცა ბანაკი. წინა სეზონის უსუსტეს გუნდში ძალიან ბევრი შეიცვალა. მოვიდა ახალი მთავრობა, რომელმაც ახალი შემადგენლობა მოიყვანა. გუნდის ლიდერი და ლიგის ბომბარდირი ტრეისი მაკგრეიდი, ვისაც მწვრთნელი დოკ რივერსი გადაჰყვა, „ჰიუსტონში“ გააგრძელებს კაშკაშა კარიერას. იქიდან კი „ორლანდოში“ გადმობარგდნენ სტივ ფრენსისი და კუტინო მობლი. დრაფტის პირველი ნომერი და სტუდენტებში გაჩემპიონებული ემეკა ოკაფორიც დიდ იმედებს იძლევა, ოღონდ სამომავლოდ. და რაც ყველაზე მთავარია, თამაში დაიწყო... გრანტ ჰილმა. დიახ, სწორედ იმ გრანტ ჰილმა, რომელმაც ბოლო ოთხ წელიწადში ქუსლზე ოთხი ოპერაცია გაიკეთა და ორასრალაცა თამაში გამოტოვა.

რა ვიცი, ჯერჯერობით ვთამაშობ და მერე ვნახოთ, რამდენის უფლებას მომცემს ქუსლიო — ჰილი მთლად ოპტიმისტურად მაინც ვერაა განწყობილი. ყველას კარგად ესმის მისი — ადრე დაფრინავდა, ახლა კი ძლივს დადის და გასაკვირი ისაა, ამდენი ოპერაციის გადამკიდე, საერთოდ როგორ ახერხებს კალათბურთზე და ძველი დროის დაბრუნებაზე ფიქრს.

## ექსვიცეჩემპიონი დაინვალიდდა

**დიდი არეულობაა** „ნიუ ჯერსი ნეთსის“ ბანაკში. არავინ იცის, წლეულს როგორ გაიტანენ თავს 2002 და 2003 წლების ვიცეჩემპიონები. კენიონ მარტინი „დენვერში“ გაიქცა, კერი კიტლზი „კლიპერსში“. ლიგის საუკეთესო გამთამაშებელი ჯეისონ კიდიც გარბოდა და როგორღაც დარჩენაზე დაიყოლიეს, მაგრამ ამან ტრავმა მიიღო და რამდენიმე კვირას „ნეთსს“ მის გარეშე მოუწევს ჯახირი. „ნიუ ჯერსის“ ერთადერთი ხეირიანი მოთამაშე, ათენის ოლიმპიადაზე ნათამაშები რიჩარდ ჯეფერსონიღა შერჩა და წლეულს პლეი ოფში რომ გავიდეს, სასწაული უნდა მოხდეს.



ალონზო მურნინგს უქმად დგომა მოსწყინდა

„ნიუ ჯერსის“ თითქოს არსაიდან გამოუჩნდა მშველელი, მაგრამ მხოლოდ თეორიულად. თურმე დაბრუნება სწადია ვეება ცენტრ ალონზო მურნინგს, რომელიც 2000 წლამდე, სიდნეის ოლიმპიადამდე შაკილ ონილის გარდა ნბა-ს ყველა ცენტრს ყურებზე ხახვს აჭრიდა, მაგრამ მერე კარიერა თირკმელის დაავადებამ წაუმურდლა. „ზომ“ თირკმელი გადაინერგა კიდეც და დაბრუნება მინდაო, ახლა ამასაც იძახის, მაგრამ „ნიუ ჯერსის“ მის იმედად ყოფნა ვერ უშველის. თირკმელს რომ თავი დავანებოთ, მურნინგი 34 წლისა და თამაშში საშუალოდ 10-12 ქულაც კარგ შედეგად ჩაეთვლება. ეყოფა ეს მის გუნდს?

## მგელი ვერ მოიშლის მგლობას

**პრობლემები** აქვს „მინესოტა ტიმბერვულვზს“, უფრო სწორად, ამ გუნდის გამთამაშებელ სემ კასელს. კასელს წინა, რიგით მეათე სეზონი პირველ ცხრაზე უკეთესი გამოუვიდა, ოლ სტარში ცხოვრებაში პირველად ითამაშა და მისი დახმარებით „მინესოტა“ თავის ისტორიაში პირველად გასცდა პლეი ოფის პირველ წრეს. ის კი არა, მერე მეორესაც გასცდა.

ჰოდა, ახლა კასელი ახალ კონტრაქტს ითხოვს. ის კიდევ ორი წლით ეკუთვნის „მინესოტას“ და ამ ხანში 11 მილიონი უნდა აიღოს, მაგრამ დაჟინებით იძახის — 11 მილიონი წელიწადში მეკუთვნისო. ხომ გესმით, 34 წლისაა, მთელი ცხოვრება გუნდიდან გუნდში მოგზაურობს, „მინესოტა“ მისი მეექვსე გუნდია და ასაკში შესულს აქ მაინც სურს სიმშვიდის პოვნა.

მაგრამ მისი არ ესმით კლუბის შეფებს. „ვულვზის“ პრეზიდენტი კევინ მაკჰეილი, თავადაც ძველი მოთამაშე, გამაფრთხილებელი ტონით ამბობს — კასელს ჩვენს გუნდთან კონტრაქტი აკავშირებს და თუ ბანაკში დროულად არ გამოცხადდება, რაც მოუვიდეს თავის თავს დააბრალოსო.

ვერ მისცემს მაკჰეილი კასელს ზედმეტ მილიონებს. კლუბის სახელფასო ფონდის ლამის ნახევარს კევინ გარნეტი იღებს და სხვებს ხურდებიღა ერგებათ (კარგი ხურდაა 5-5 მილიონი, არა?).

სხვაფრივ „მგლების“ ხროვას ერთიც მიემატა, მართლა მგელი და მტაცებელი. ედი გრიფინს წინა სეზონში „ჰიუსტონში“ უნდა ეთამაშა, მაგრამ ვერ ახერხებდა ჯერ იმის გამო, რომ მარიხუანას ქაჩვისთვის თავად კლუბმა დასაჯა, შემდეგ კი უკვე ტეხასის შტატის პოლიციამ და სასამართლომ ცოლისთვის ტყვიების დაშენისთვის ჩააყუდეს.

დასაწყისი „სარბიელი“
№223, №225 და №231

# ნენიკიკამენ!
# გმირის დაბადება



სპირიდონ ლუისი პირველი მარათონის მონაწილეებთან



ესეც სპირიდონია, ოღონდ ფილმიდან

**ოლიმპიური** მარათონი 29 მარტისთვის დაინიშნა, შეჯიბრების მონაწილენი კი ერთი დღით ადრე ჩავიდნენ. პირველად დელიუიანისი, ვასილაკოსი, გერაკარისი, ვრეტოსი და კიფეტზისი გამოჩნდნენ. ისინი მარათონში დაქირავებული ეტლებით ჩავიდნენ. მათ მოჰყვნენ დანარჩენი ბერძნები და უცხოელი მარათონელები. და მაშინ, როცა შეჯიბრების ყველა მონაწილემ და მსაჯებმაც თავი მოიყარეს, მარათონს კიდევ ერთი ეტლი მიადგა, საიდანაც ვიღაც ახალგაზრდა ქალბატონი გადმოვიდა. იგი ერთად თავმოყრილ ხალხთან მივიდა და მერთან შეხვედრა ითხოვა.

„ეს მე ვარ მერი“ — საკუთარი თავი წარუდგინა კუცოგიანოპულოსმა და გაკვირვებულმა აათვალიერჩაათვალიერა, მერე კი კითხვა დაუბრუნა, კი მაგრამ, რა გნებავთო.

„მე სტამატა რევიტი ვარ, აქ კი იმისთვის ჩამოვედი, რომ მამაკაცებთან ერთად მეც ვირბინო. ამიტომ გთხოვთ, ჩემი განაცხადი მიიღოთ და შეჯიბრებაში დამოუკიდებელი სპორტსმენის სახელით დამიშვათ.“

რაღა თქმა უნდა, მერმა ეს ქალბატონი უარით გაისტუმრა. მერე სტამატა თუ მელოპომენა, როგორც მას სხვაგვარადაც მოიხსენიებენ, სოფლის მღვდელს მიადგა, რათა კურთხევა მიეღო. მღვდელმა კი, მე მხოლოდ შეჯიბრების ოფიციალურ მონაწილეებს დავლოცავ ტაძარშიო. მაგრამ ამ ქალის მოშორება არც ასე იოლი აღმოჩნდა...

მასზე ცოტა მოგვიანებით მოგითხრობთ, ახლა კი შეჯიბრების ოფიციალურ მონაწილეებს მივხედოთ.

როცა ისინი მარათონში ჩავიდნენ, საშინელი ავდარი დახვდათ და არც შეჯიბრებისას გამოუდარებია. არადა, ყველა ლიტერატურაში, ქართულში, რუსულში, უნგრულში, გერმანულში თუ სხვაგან, ყველგან მოგვითხრობენ პაპანაქება სიცხეზე. ჩანს, ავტორები ერთმანეთს დაესესხნენ და ერთმანეთის შეცდომა გაიმეორეს, მაგრამ თუ ჩავიხედავთ პირველწყაროებში — იმდროინდელ გაზეთებში, ვნახავთ, რომ ავდარი ყოფილა. მაგალითად, საბერძნეთის გაზეთი „აკროპოლისი“ 1896 წლის 29 მარტის ნომერში როცა წინა დღით მარათონში მარათონელთა ჩასვლაზე მოგვითხრობს, წერს: „ამინდი ძალიან ცუდი იყო. კოკისპირულად წვიმდა. ახლო-მახლო მთა-გორაკები თოვლმა დაფარა. თოვლს დაეფარა იქვე აღმართული პენტელიკონის მთაც. ცივი, ჩრდილოეთის ქარი უბერავდა და სუსხი ძვალსა და რბილში ატანდა. ათლეტები „მილტიადეს ტორპის“ კაფეში ისხდნენ“...

იმდროინდელი გაზეთებით ირკვევა, რომ მარათონელთა შეჯიბრების დღესაც ავდარი იყო, იმ დღეს კი მთელი სოფელი ეკლესიის მხიარულმა ზარმა გააღვიძა. შეჯიბრების მონაწილეებმა თითო ჭიქა თბილი რძე დალიეს და ეკლესიაში მოგროვდნენ, სადაც მღვდელმა დალოცა. იქიდან ყველამ კაფეში გადაინაცვლა. ბოლოს ყველანი თავთავიანთ ოთახებში წაბრძანდნენ, დაისვენეს და 1 საათზე გამოცხადდნენ მარათონის პატარა ხიდთან, სწორედ იმ ხიდთან, საიდანაც ლეგენდარულმა ფიდიპიდემ ათენელებს სპარსელებზე გამარჯვების ამბავი ჩაუტანა და ჩვენც ყოველივე ამას მოგითხრობთ.

და რაკი შეჯიბრების ყველა მონაწილე პირველი მართონული სტარტის ადგილზე გამწკრივებულა, ჩვენც დავითვალოთ ისინი: პირველ მწკრივში ხუთი კაცია. მეორეში — ოთხი, მესამეში ისევ ხუთი, მეოთხეში კი მხოლოდ ორნი არიან. 12 ბერძენი და 4 უცხოელია, არადა, ყველა ის ლიტერატურა, ზემოთ რომ ვახსენეთ, იტყობინება, რომ სტარტზე 21 ბერძენი და კიდევ 5 უცხოელი გამოვიდაო, ზოგი მონაცემით კი 20 მასპინძელი და 4 სტუმარი იყო.

ახლა „ათენი-2004“-ის დღეებში იმ პირველ მარათონში სპირიდონ ლუისის გამარჯვების აღსანიშნავად დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით გადაღებული მხატვრული ფილმის პრეზენტაცია გაიმართა და მასშიც სტარტზე 16 მონაწილეს ვხედავთ და არა 26 თუ 24-ს.

ფილმშიც ვხედავთ და „აკროპოლისიც“ იტყობინება, რომ მარათონის ხიდიდან გზის ორთავ მხარეს 3 კილომეტრის მანძილზე მთელ სოფელს მოეყარა თავი.

სტარტის დრო რომ მოვიდა, ქალაქის მერმა საათს დახედა, ავიდა პატარა სცენაზე და შეჯიბრების მონაწილეებს მიმართა. ამ ამბავს მოგვიანებით ასე იხსენებდა სპირიდონ ლუისი:

„როდესაც შეჯიბრების დაწყების დრო მოვიდა, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიღაც წარმომადგენელმა ბერძნულად და უცხოურად მოგვმართა. თქვა, ეს დღე ერთ-ერთი უდიდესია საბერძნეთის ისტორიაშიო. მე მაშინ ვერ გავიგე, რატომ იყო ეს დღე ასეთი მნიშვნელოვანი, მაგრამ ამას მოგვიანებით კი მივხვდი. როცა ის სიტყვით მოგვმართავდა, ვფიქრობდი, ეს რამხელა გზა გვიდევს-მეთქი წინ, მაგრამ თავს იმით ვიმშვიდებდი, რომ თუ სიქა გამძვრებოდა, ნებისმიერ დროს შემეძლო დისტანციის მიტოვება. მერე უცხოელებს მიმართა შეჯიბრების ერთ-ერთმა მონაწილე ლაგუდაკისმა, „თუ თქვენ გვაჯობებთ, ჩვენ მაინც ძმებად და მეგობრებად დავრჩებით. ანტიკურმა ოლიმპიურმა თამაშებმა ბერძნული ქალაქები შეაკავშირა, დღეს კი ეს თამაშები მსოფლიოს ხალხებს ადუღაბებსო.“

ლაგუდაკისი ბერძენი კი იყო, მაგრამ პარიზში ცხოვრობდა. ზოგი ცნობით იგი ჟურნალისტი, „ნიუ ქრონიკლის“ კორესპონდენტი გახლდათ. სხვა წყაროს მიხედვით პარიზში სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი იყო, მაგრამ ათენის ოლიმპიურ თამაშებზე რატომღაც საფრანგეთის სახელით გამოდიოდა. თუმცა როგორც მარათონის დაწყებამდე მისი უცხოელებისდმი მიმართვიდან ჩანს, თავს ბერძენად და მასპინძლად თვლიდა.

ეტყობა, სწორედ ფრანგ-ბერძენი ლაგუდაკისის წარმომავლობის ამ პატარა გაუგებრობამ განაპირობა მარათონში მონაწილე უცხოელთა რაოდენობის დაუდგენლობა, როცა ზოგი ხუთს მიუთითებს, ნაწილი კი ოთხს.

ასე იყო თუ ისე, ლაგუდაკისმა სიტყვა რომ დაასრულა, შეჯიბრებისთვის საბოლოო მზადყოფნა გამოაცხადეს. მერე ქალაქის მერმა პისტოლეტი მოიმარჯვა, ჩახმახი შეაყენა და სროლის ხმაც გაისმა. ამ დროს პირველს ოთხი წუთი აკლდა.

მორბენლები ცოცხალ დერეფანში დაიძრნენ. მთელი სამი კილომეტრის მანძილზე ასეთ დერეფანში მოუწიათ რბენა. აქეთ-იქით შეკრებილი ხალხი მორბენლებს შეძახილებით ამხნევებდა, მათ შორის მღვდლებიც, რომლებიც პირჯვარს იწერდნენ და ღმერთს ბერძენთა გამარჯვებას ევედრებოდნენ. მარათონელები თავდაპირველად ერთ გუნდად მირბოდნენ. მერე თანდათან დაწინაურდნენ უცხოელები, ფრანგი ლერმუაზიე, ავსტრალიელი ფლეკი, ამერიკელი ბლეიკი და უნგრელი კელნერი. მათ მოჰყვებოდა ბერძენი ლავრენტისი. როცა 22-ე კილომეტრზე მდებარე სოფელ პიკერმიში სტარტიდან 55 წუთის მერე ფრანგი შეიჭრა, იგი თითქმის 5 კილომეტრით უგებდა ფლეკს. აქ ბერძნებს, გრეგორიუსს, ლავრენტისსა და ლაგუდაკისს გამძლეობამ უმტყუნათ, თუმცა, შესვენების მერე ლაგუდაკისმა რბენა გააგრძელა, მისმა ორმა თანამემამულემ კი რბოლა შეწყვიტა. მორბენლებს დროდადრო სოფლელები ხვდებოდნენ. ისინი მარათონელებს წყალს და ღვინოს ახვედრებდნენ. სოფელ პიკერმიში დახვედრისას სპირიდონ ლუისმა, რომელიც ლიდერებს ბევრით ჩამორჩებოდა, ღვინით სავსე ჭიქა მოითხოვა, მხნედ გადაჰკრა და იკითხა, ჩემს წინ ვინ არისო. იმათაც ჩამოუთვალეს და ისიც უთხრეს, ფრანგი ძალიან დაწინაურდაო. ლერმუაზიე სოფელ ჰარვატიშიც (დღევანდელ პალინიში) პირველი შეიჭრა, რაც „თეოფილატოს“ კონიაკის ქარხანამ გაბმული სირენით აღნიშნა. აქ მას სოფლელებმა გვირგვინი გადასცეს, რომელიც საგანგებოდ ლიდერისთვის გაემზადებინათ. ამ დროისთვის ასეთი ვითარება იყო: ლერმუაზიე, ფლეკი, ბლეიკი, ვასილაკოსი, ლუისი, კელნერი, ბელოკასი, დელუიანისი, ვრეტოსი, გერაკარისი, ხრისტოპულოსი, მასურისი, პაპასიმეონი.

მარათონელები რაც უფრო შორდებოდნენ მარათონს, ავდარიც მით უფრო უკან იხევდა. ამის მიუხედავად, 32-ე კილომეტრზე, სოფელ სტავროსსა და აგიოს პარასკევისთან ფრანგმა მკვეთრად მოუკლო ტემპს და სულ მალე გრძნობადაკარგული დავარდა. მისი ბედი გაიზიარა ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ფლეკმაც, ლიდერობა კი თანდათან ხელთ იგდო ლუისმა. როცა ბერძენის დაწინაურების ამბავი მეფეს ამცნეს, ეს სასიხარულო ამბავი ათენში ზარბაზნის დაქუხებით აღნიშნეს.

ბერძენთა გასახარად, სპირიდონ ლუისმა გაიმარჯვა (2:58.50,0). მეტიც, ფინიშთან მეორეც მათი თანამემამულე ხარილაოს ვასილაკოსი (3:06.03) იყო და მესამეც — სპიროს ბელოკასი (3:08.50), თუმცა ბოლო მეტრებზე მას ხელი შეაშველეს, რის გამოც შეჯიბრებიდან მოხსნეს და მისი ადგილი უნგრელმა კელნერმა (3:09.35) დაიკავა.

მარათონის დანარჩენ მონაწილეთა შედეგები ისტორიამ არ შემოგვინახა. თუმცა ცნობილია, რომ ფრანგ-ბერძენმა ლაგუდაკისმა, რომელმაც რბენისას არაერთხელ შეისვენა, დისტანცია მერვემ დაამთავრა, სტარტიდან დაახლოებით 4,5 საათში მოანდომა.

სპირიდონ ლუისის გამარჯვებას ბერძენთა ენით აუწერელი სიხარული მოჰყვა. იგი ეროვნულ გმირად შერაცხეს. მას ავეროფის სახელობის მარმარილოს სტადიონზე ალტაცებული 80 ათასი კაცი ყიჟინით შეეგება. სპირიდონ ლუისის ტრიუმფის თვითმხილველი ყოველივე ამას ასე აღწერს:

„გამარჯვებულის, I ოლიმპიური თამაშების გმირის ფერხთით ათასობით ყვავილი და საჩუქარი დაიყარა, ცაში აიჭრა ათასობით მტრედი, რომლებიც ბერძნული დროშის ფერის ლენტებს მიაფრიალებდნენ. ხალხი სარბიელზე გადმოეშვა, ჩემპიონი ხელში აიტაცა და მისი ბურთაობა დაიწყო. ჩემპიონი მათი ხელიდან დაიხსნეს საბერძნეთის ტახტის მემკვიდრე უფლისწულმა და მისმა ძმამ, რომლებმაც ლუისი სამეფო ლოჟისკენ წაიყვანეს და იქ უწყვეტი ოვაციის თანხლებით მეფემ გლეხი გულში ჩაიკრა.“

„ნენიკიკამენ!“ „ნენიკიკამენ!“ — ღრიალებდა პირთამდე სავსე მარმარილოს სტადიონი, მთელი ათენი და საბერძნეთი.

სპირიდონ ლუისი ეროვნული გმირი გახდა. ის იყო თანამედროვეობის პირველი სპორტსმენი, რომელსაც ყველაზე დიდი პატივი მიაგეს.

სპირიდონ ლუისი აღარასოდეს გამოსულა სპორტულ სარბიელზე, მაგრამ მისი ტრიუმფალური გამარჯვებით შთაგონებულებმა გერმანელებმა 1936 წელს ბერლინის ოლიმპიურ თამაშებზე სპირიდონ ლუისი საპატიო სტუმრად მიიწვიეს. იქ ოლიმპიადის ორგანიზატორთა თხოვნით ლუისი ჰიტლერს შეახვედრეს, სპირიდონმა ფიურერს ათენიდან საგანგებოდ მისთვის ჩამოტანილი ზეთისხილის რტო მიართვა.

მაგრამ იყო ერთი კაცი, რომელიც სპირიდონ ლუისის გამარჯვებას არ აღიარებდა. ეს გახლდათ მისივე თანამემამულე და მეტოქე ქარილაოს ვასილაკოსი, რომელმაც იმ პირველ თამაშებზე მეორე ადგილი დაიკავა.

**ავთანდილ გურასაშვილი**

გაგრძელება იქნება




„ნენიკიკამენ!“ — ეს წარწერაც ამშვენებს პირველი მარათონული რბენის ფინიშის ამსახველ ნახატს



სპიროს ლუისმა ჰიტლერი ზეთისხილის რტოთი დაასაჩუქრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

# ზვიადაური ქართველებს დაეჭიდება



**ქართველი** ოლიმპიელი გმირები — ზურაბ ზვიადაური და ნესტორ ხერგიანი 9 ოქტომბერს გერმანული აგენსბერგის ტატამზე შეაბიჯებენ. მიუნხენის მახლობლად მდებარე პატარა ქალაქში ევროპის საკლუბო თასის „ოთხთა ფინალი“ გაიმართება, სადაც ტიტულისთვის ჰაარლემის „ლენამიუ“, სანქტ-პეტერბურგის „იავარა ნევა“, სტამბოლის „ბეშიქთაში“ და მასპინძელი „აგენსბერგი“ იბრძოლებენ.

ნახევარფინალში ჰოლანდიური კლუბი „იავარა ნევას“ დაუპირისპირდება, ხოლო ოლიმპიურ ჩემპიონ ზურაბ ზვიადაურით თავმომწონე „აგენსბერგი“ „ბეშიქთაშს“ გადაეყრება. თურქულ კლუბში ხუთი ქართველი იჭიდავებს: ნესტორ ხერგიანი (60კგ), დავით მარგოშვილი (66კგ), დავით ქევხიშვილი (73კგ), მინდია ბოდაველი (90კგ) და ივერი ჯიქურაული (100კგ). მიხვდებოდით, ზვიადაურს სწორედ თანაწონოსან ბოდაველთან მოუწევს ტატამზე გასვლა.

საკლუბო თასის მოქმედ მფლობელ „იავარა ნევაში“ კი ხასანბი ტაოვი ჭიდაობს, რომელიც ახმეტელმა გმირმა ათენის ოლიმპიადაზე აკოტრიალა და თუ მათი კლუბები ფინალში გზას გაიკვალავენ, რუსს ალბათ იგივე დღე მოელის...

**ილია ნანობაშვილი**

# სოფია კარგი იყო

## მსოფლიოდან ოქროს ველით

**საქართველოს** 21-წლამდე ძიუდოისტთა ნაკრებს მოკლე ხანში წლის უმთავრესი გამოცდა ელის. 14-17 ოქტომბერს უნგრეთის მთავარქალაქ ბუდაპეშტში მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება და, ცხადია, იქიდან რამდენიმე ქართულ მედალს ველით. მოგეხსენებათ, ბორის ფიცხელანის გაწვრთნილმა ახალგაზრდებმა სოფიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ჩინებულად იჭიდავეს: უკვე ეროვნულ ნაკრებში ნაჭიდავებმა გრიგოლ შინჯიკაშვილმა (81 კგ) და ლევან რაზმაძემ (100 კგ) ოქრო მოინადირეს, ოლიმპიადაგამოვლილი ლაშა გუჯეჯიანი (მძიმე წონა) ვერცხლს შესწვდა, დავით ასუმბანი (60 კგ) და გრიგოლ ბაინდურაშვილი (73 კგ) კი ბრინჯაოს დასჯერდნენ. უმედლოდ მხოლოდ ზაზა კედელაშვილი (66 კგ) და ლომერ ჟორჟოლიანი (90 კგ) დარჩნენ.

ბორის ფიცხელანი უნგრეთშიც ზუსტად იგივე შვიდეულს წაიყვანს. ნაკრების მთავარი მწვრთნელი ახლაც იმედიანადაა, თუმც შანსებს არ აჭარბებს: „მზადება უკვე დავიწყეთ და ბუდაპეშტში 12 ოქტომბერს წავალთ. მაინც მსოფლიოს ჩემპიონატია და უფრო ძლიერ მეტოქეებთან მოგვიწევს ჭიდილი. რა თქმა უნდა, მათ შორის ათენის ოლიმპიადის პრიზიორებიც იქნებიან. მარტო ის რად ღირს, რომ ბუდაპეშტში ალბათ ჯარჯი ზვიადაურიც იქნება. სხვა ქართველებიდან აღსანიშნავია ასევე საბერძნეთის სახელით მოჭიდავე ტარიელ ზინდირიდისიც (66 კგ), რომელიც სოფიაში ჩემპიონი გახდა.“

**ილია ნანობაშვილი**

ფეხბურთი

**იტალია**

| სერია B. VI ტური |
|---|
| ალბინოლეფე 1:1 კატანძარო |
| კატანია 2:2 ასკოლი |
| კროტონე 2:1 ტორინო |
| ჯენოა 5:2 ვიჩენცა |
| პესკარა 2:0 მოდენა |
| პიაჩენცა 1:3 ემპოლი |
| სალერნიტანა 0:2 პერუჯა |
| ტერნანა 1:1 არეცო |
| ტრიესტინა 1:0 ტრევიზო |
| ვენეცია 0:2 ჩეზენა |
| ვერონა 0:0 ბარი |
| **სერია C1/B გადადებული მატჩი** |
| ნაპოლი 1:0 პეზარო |

**სლოვაკეთი**

| თასის II ეტაპი |
|---|
| ტრენჩინი 0:0(პენ.3:5) *სლოვანი* |

**შვეიცარია**

| ჩელენჯლიგა გადადებული მატჩი |
|---|
| კრინსი 0:0 მეირინი |

**შვედეთი**

| სუპერეტა გადადებული მატჩი |
|---|
| გაის 1:1 კაფე ოპერა |

**საფრანგეთი**

| ლიგის თასი. 1/16 ფინალი |
|---|
| შატორუ 0:1 *ლავალი* |
| *სედანი* 1:1დ.დ.(პენ.3:2, 1:1) ანჟე |
| ტრუა 2:2დ.დ.(პენ.3:2, 1:1) ამიენი |
| *კრეტეი* 1:0 გენიონი |
| *ლე მანი* 0:0(პენ.5:3) გრენობლი |
| ლორიანი 1:2 *გენგამი* |
| დიჟონი — ნიორი *გადაიდო* |
| ნანსი — რეიმსი *გადაიდო* |

ჩოგბურთი



# გაისად ან არასდროს

## კიმ კლაისტერსი ვატერლოოს მიადგა

მორჩა! ეს ალბათ კიმ კლაისტერსის საჩოგბურთო ვატერლოოა. პუტკუნა ბელგიელი ვარსკვლავი ხუთთვიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა კორტს და გასულ დღეებში ბელგიური ჰასელტის ტურნირზე მოიქნია ჩოგანი, მაგრამ... მაგდალენა მალეევასთან მოგების შემდეგ ლეიტონ ჰიუტის სატრფომ რუს ელენა ბოვინასთან მატჩი შეწყვიტა — ისევ მარცხენა მაჯის ტრავმამ შეახსენა თავი.

კლაისტერსისთვის ეს სეზონი უეჭველად დასრულებულია, მაგრამ მისი ექიმი ბრუნო ვილემსი უფრო შორსაც მიდის: „თავს ნუღარ მოვიტყუებთ, ეს ტრავმა კიმის კარიერის დასასრულს ნიშნავს. ღმერთმა ქნას, ვცდებოდე, მაგრამ ოპტიმიზმის საფუძველს ვერ ვხედავ.“

თავად ჩოგბურთელი თითქმის დეპრესიაშია ჩავარდნილი, მაგრამ კორტთან სამუდამო განშორებაზე ხმამაღლა არაფერი უთქვამს.

ვინ იცის, თუ ქირურგიული ჩარევა არ დასჭირდა, ბელგიელმა გაისად ისევ ინავარდოს...

**ილია ნანობაშვილი**

ავტორბოლა



REUTERS

ტაკუმა სატო (მარჯვნივ) გაისადაც BAR-ში ირბოლებს, ჯენსონ ბატონი...

# ძველი ომი: ეკლსტოუნი და სილვერსტოუნი

**ორი რბოლაც** და 55-ე საფორმულო ჩემპიონატი ისტორიას ჩაბარდება. გუნდები უკვე ჩავიდნენ იაპონიაში, სადაც კვირას მეოცედ გათამაშდება ამომავალი მზის ქვეყნის დიდი პრიზი, უგრძესი, 18-ეტაპა სეზონი კი 24 ოქტომბერს ბრაზილიაში დასრულდება.

ერთ კვირაში საბოლოო სახეს მიიღებს საგაისო კალენდარიც და საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის საკონტრაქტო კომიტეტი BAR-ის მრბოლ ჯენსონ ბატონის საქმესაც გაარჩევს. ჯერაც უცნობია, ინგლისელი პილოტი 2005 წელს რომელი მანქანით იჯირითებს. მისი ამჟამინდელი ბოსი დევიდ რიჩარდსი, ცხადია, ყოველმხრივ ცდილობს, ჩემპიონატის მესამე პრიზიორი ხელიდან არ გაუშვას, თავად ბატონს კი „უილიამსისკენ“ მიუწევს გული. ალბათ ასეც იქნება, რადგან უაზრობაა მძღოლის სურვილის საწინააღმდეგოდ თავისთან „დაბმა“ და ეს ბარ-ს ხეირს ვერ მოუტანს.

ამის გამო გაურკვეველია დევიდ კულჰარდის პერსპექტივა. შოტლანდიელს „მაკლარენთან“ კონტრაქტი ეწურება და გაისად მის ადგილს კოლუმბიელი ხუან-პაბლო მონტოია დაიკავებს. ბარ-იდან ბატონის წასვლის შემთხვევაში კულჰარდს ამ საჯინიბოში გადასვლის შანსი აქვს, ხოლო სუსტ გუნდთან თანამშრომლობაზე არა გვგონია, დათანხმდეს. ამას ურჩევნია, „მაკლარენში“ ტესტმძღოლად დარჩეს, მით უმეტეს, შეთავაზება უკვე მიიღო.

სათადარიგო მრბოლობა მოუწევს 38 წლის ოლივიე პანის. „ტოიოტას“ უფროსობამ გუნდში ფრანგ ვეტერანზე ლამის ათი წლით უმცროსები — რალფ შუმახერი და იარნო ტრული მიიწვია, სადღეისოდ უხნეს მძღოლს კი ორი სეზონით მეტესტეობა შესთავაზა, რაზეც ოლივიე სიამოვნებით დათანხმდა.

ისევ დიდი ამბავია ატეხილი ბრიტანული ეტაპის გარშემო. რამდენი ხანია, სილვერსტოუნის ლეგენდარულ ავტოდრომს, სადაც 1950 წელს უპირველესი საფორმულო რბოლა ჩატარდა, ინფრასტრუქტურას და ტრასის საფარს უწუნებენ. ამას ისიც დაემატა, რომ ბრიტანეთის სამეფო ავტოკლუბმა, ვისი საკუთრებაცაა „სილვერსტოუნი“, ფედერაციას საგაისო ეტაპის მოსაწყობად თითქმის ორმილიონნახევარი დოლარი ვერ გადაუხადა, რის გამოც დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზის გათამაშება წინასწარი კალენდრიდან ამოშალეს. თუმცა ფორმულა 1-ის „გამგებელმა“ ბერნი ეკლსტოუნმა თანამემამულეებს იმედი ბოლომდე არ გადაუწურა, კალენდარი 13 ოქტომბერს უნდა დამტკიცდეს და ალბათ, იმ სასაცილო თანხას იშოვიანო.

**გია ახალაძე**




მომსვლელ-წამსვლელი ტოიოტელები იარნო ტრული და ოლივიე პანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შანხაის კენწეროდან



REUTERS შანხაიდან

შანხაიში წამოდგმული ჟინმაოს კოშკი უმაღლესი ნაგებობაა ჩინეთში. ბეიზ-ჯამპერების ამბავი ხომ ცნობილია — იმათ სწორედ ამგვარი სიმაღლეებიდან უყვართ პარაშუტობა. 16 ქვეყნის 28 ჯამპერი აფოფრებულა კოშკის კენწეროზე და ქალაქს თავის სიმამაცეს უჩვენებს. თანაც ჩინეთში ეროვნული დღის უქმეა, თანაც ტურიზმის ოქროს კვირეული.



REUTERS ბერლინიდან

# ძმებს შორის

ძმები კლიჩკოების წიგნი „ძმათა შორის" გერმანიის ბესტსელერი შეიქნება. პრეზენტაცია ბერლინში იყო და ჩემპიონი ვიტალი და კვლავაც შუბლგანახეთქი ვალოდია კარგ ხასიათზე იყვნენ. მართალია, კლიჩკოთა ავტობიოგრაფია განთქმული მწერლის, დევიდ ბექემის ნაირგვარ ავტობიოგრაფიებს ჯერ ტირაჟით ვერ წამოეწევა, მაგრამ პირველი ნაბიჯი მისასალმებელია. ბექჰემა კი უკვე რბილ ყდაში გამოსცა თავისი ბოლო ნაშრომი „ჩემი მხრიდან".

# კარგ ხასიათზე

ახლოვდება იაპონიის დიდი საფორმულე პრიზის გათამაშება. ცხადია, ტოკიოში ჩასულთაგან ყველაზე კარგ ხასიათზე ფერარელები არიან. ერთი მარად ჩემპიონია, მეორემ კი ჩინეთის პირველი და ისტორიული დიდი პრიზი მოიგო. შუმი და რუბენს ბარიკელო თითქოს ამბობენ, ეს შლანგი სულ სხვანაირ საწვავს იმეტებს ჩვენთვისო.



REUTERS ტოკიოდან





REUTERS მანჩესტერიდან

# ახალი მოდა ქაბულში



REUTERS ქაბულიდან

ქაბულში, სადაც ტრადიციულად კალაშნიკოვი იყო მოდაში, ახლა კიკ-ბოქსინგი შემოდის. ნაომარ-ნანგრევი შენობა ავღანთა დედაქალაქში კვლავაც ბევრია და სავარჯიშო დარბაზის მოძებნა ძნელი არ არის. შენ მონდომება თქვი...

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს,
სამშაბათს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოღრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge